

# კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია

ვ. ი. ლენინი.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 177 (13869) | კვირა, 30 ივლისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.


ქართველ კომუნისტებს ვ. ი. ლენინი ურჩევდა:

„მთელი ძალ-ღონით განავითარეთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, მორწყვა... ეცადეთ გააუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები".



**გაივლის** სულ რაღაც სამიოდე წელი და საუკუნეების მანძილზე კლდესთან ჭიდილში გააევებული ენგური ხალხის კეთილ სამსახურში ჩადგება. აკიაფდება მილიონობით ელნათურა, ენგურჰესის ტურბინებიდან გამომუშავებულ ელექტროენერგიას მიიღებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა. ყოველივე ეს ჩვენი სახელოვანი მშრომელების მადლიანი მარჯვენის ნახელავი იქნება. ენგურჰესის მრავალათასიან კოლექტივში ბევრია მამულის სიყვარულით მკერდში გულაძგერებული ვაჟკაცი, რომელიც დღეს საშვილიშვილო შრომითს ფერხულშია ჩაბმული. ერთ-ერთი მათგანია სამუშაოს მწარმოებელი გრიგოლ თაბაგარი. სწორედ ასეთი შესანიშნავი ადამიანების შრომითს საქმიანობას ეძღვნება მასალა, რომელსაც მკითხველს დღევანდელი ნომრის მეორე გვერდზე ვთავაზობთ.

ფოტო ს. კილაძისა.

# საოქტომბრო ტემპი

რაც უფრო ახლოვდება ოქტომბრის 50 წლისთავი, მით უფრო ფართოვდება საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სახელოვანი რევოლუციური იუბილეს აღსანიშნავად. მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის ინიციატივა და შეუპოვარი შრომა მაცოცხლებელი წყაროსავით ასაზრდოებს ხალხის შემოქმედების მძლავრ ნაკადს, ხელს უწყობს დამატებითი რეზერვების გამოვლინებასა და ხუთწლედის სამსახურში ჩაყენებას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებას. მილიონობით საბჭოთა პატრიოტის ღონისძიებანი იქითკენ არის მიმართული, რომ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა დროშით ახალი წარმატებანი მოიპოვონ კომუნისტურ მშენებლობაში.

ახლა, როცა დიდ ისტორიულ თარიღამდე ასი დღეღა დარჩა, ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში შედის ბრძოლა საოქტომბრო ვალდებულებათა შესრულებისათვის. უკვე მკაფიოდ გამოვლინდა თითოეული კოლექტივის წარმატებანი და ნაკლოვანებანი, შეძენილია საიუბილეო შეჯიბრების ორგანიზაციის დიდი გამოცდილება. და, ესმით რა, რომ ახლა, დღესასწაულისათვის მზადების საბოლოო ეტაპზე, განსაკუთრებით ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ქალაქისა და სოფლის მშრომელები კიდევ უფრო აქტიურად განაგრძობენ შემოქმედებითს ძიებას. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მოწინავე საწარმოებში მიმდინარეობს ადრე ნაკისრ ვალდებულებათა გადასინჯვა — მიღწეულის საფუძველზე მშრომელები ღრმად სწავლობენ წარმოების შესაძლებლობებს და ეკონომიურად დასაბუთებულად ისახავენ უფრო მაღალ მიჯნებს.

სახალხო ინიციატივის ზრდის ახალი მძლავრი სტიმულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ამასწინანდელი დადგენილება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების კოლექტივებისათვის სამახსოვრო დროშების დაწესების შესახებ. ასეთი დროშის — შრომითი მამაცობის ამ სიმბოლოს მოპოვება და სამუდამოდ შენახვა უმაღლესი პატივია, რომელსაც მიაღწევენ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის. ამ უფლებისათვის ბრძოლამ მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი აღმავლობა გამოიწვია.

ყოველივე ეს განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს შეჯიბრების ხელმძღვანელობას. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დაუცხრომლად იზრუნონ მისი საჯაროობისა და ქმედითობისათვის, მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისა და ჩამორჩენილთა დაწინაურებისათვის, საზოგადოებრივი ძალების მობილიზაციისათვის მთავარი საწარმოო ამოცანების გადასაწყვეტად. მრეწველობაში და მშენებლობაზე საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ საიუბილეო წლის მესამე კვარტალში კვლავ გავაძლიეროთ პროდუქციის მატების ტემპი, გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გავაუმჯობესოთ ნაწარმის ხარისხი და შევამციროთ თვითღირებულება, უფრო სწრაფად ავამუშაოთ და ავითვისოთ საწარმოო სიმძლავრეები. სოფლის მშრომელთათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საქმეა სანიმუშოდ დაამთავრონ მოსავლის აღება, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ სახელმწიფოს გეგმა-შეკვეთა, ჩვენს ქვეყანას მისცენ მეტი პური და სხვა პროდუქტები, წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მთელი კომპლექსი.

დღესასწაული უკვე ახლოს არის, და ახლა ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია დრო. სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სამეურნეო და პროფკავშირულ აქტივთან ერთად გულდასმით ამოწმებენ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის მსვლელობას — ამოწმებენ არა „საერთოდ", არამედ ყოველდღე, ყოველ კვირასა და თვეში. კარგი ინიციატივა გამოიჩინეს ლუგანსკის ოლქის მშრომელებმა. კომუნისტთა თაოსნობით აქ გადაწყვეტილია ოქტომბრამდე დარჩენილი ასი დღე გამოაცხადონ დამკვრელური ვახტის დღეებად. იმისათვის, რომ წარმოების რეზერვების გამოყენებას კონტროლს უწევდეს მთელი საზოგადოებრიობა, ეწყობა საიუბილეო შეკრება — სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები ანგარიშს ჩააბარებენ იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებენ თავიანთ გადიდებულ ვალდებულებებს. ცხოვრება წარმოშობს აგრეთვე სხვა საყურადღებო წამოწყებებსაც, და მეტად საჭიროა, რომ ეს გამოცდილება ფართოდ გამოიყენონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ჩვენი ეკონომიური მშენებლობის წარმატებისათვის, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, საჭიროა „ფართოდ, ჭეშმარიტად მასობრივად შევქმნათ შესაძლებლობანი ინიციატივის, შეჯიბრების, გაბედული თაოსნობის გამოსაჩენად...". თუ თითოეული ჩვენგანი მზრუნველი თვალით მიმოიხედავს გარშემო: ყველაფერი გაკეთებულია თუ არა სამუშაო ადგილას, რომ უფრო სწრაფად იზრდებოდეს საზოგადოებრივი დოვლათი, მოიფიქრებს, როგორ ხარჯოს უფრო ეკონომიურად ნედლეული, ენერგია, მასალები, — ეფექტი უზარმაზარი იქნება. ესტონეთის მსუბუქი მრეწველობის მშრომელებმა, როცა ყაირათიანობისათვის ლაშქრობა დაიწყეს, შეძლეს წარმოების ნარჩენებისაგან გამოეშვათ მილიონ მანეთისაზე მეტი ღირებულების ათობით სახეობის ნაწარმი. და ეს — მხოლოდ თექვსმეტ საწარმოში! ყველა კოლექტივს შევუქმნათ შემოქმედებითი შრომისა და სამეურნეო დამოუკიდებლობის ხელშემწყობი შესაძლებლობანი, თანამიმდევრულად დავნერგოთ ეკონომიური რეფორმის პრინციპები — ეს ნიშნავს ხელი შევუწყოთ საოქტომბრო ვალდებულებათა შესრულებას.

წლის პირველი ნახევრის შედეგები გვიჩვენებენ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ჩამორჩენილი საწარმო; მათი ნაწილი ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვების გეგმას, სხვებს დაბალი აქვთ ხარისხობრივი მაჩვენებლები. ჩამორჩენის მთავარი მიზეზი მეტ წილ შემთხვევებში წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებანი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და კოოპერირებული მიწოდების შეფერხებაა. ამიტომ საჭიროა, რომ სამინისტროები და უწყებანი, მეურნე ორგანოები ახლა განსაკუთრებით გააზრებულად და ზუსტად ხელმძღვანელობდნენ წარმოებას, უქმნიდნენ საწარმოებს შეუფერხებელი მუშაობისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პირობებს, მხარს უჭერდნენ გონივრულ ეკონომიურ ინიციატივას. ამავე დროს ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ სახელმწიფო დისციპლინა, ავამაღლოთ ჩვენი კადრების პასუხისმგებლობა რეზერვების გამოყენებისათვის.

საიუბილეო ვახტის ახლანდელ, საბოლოო ეტაპზე შეჯიბრების განვითარება დიდად არის დამოკიდებული მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე. მის შინაარსსა და მიმართულებას დღეს უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი", რომლებიც აჯამებენ პარტიისა და მთავრობის სახელოვან მიღწევებს, აღგვაფრთოვანებენ კომუნიზმის გზაზე ჩვენი წინსვლის ნათელი პერსპექტივით. „იდეოლოგიურ მუშაობაში, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — პარტია ხელმძღვანელობს იმ ლენინური მითითებით, რომ შეგნებული შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობის გარეშე არ არის და არც შეიძლება იყოს კომუნისტური აღზრდა". პარტიულმა ორგანიზაციებმა, პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ, კულტურის დაწესებულებებმა უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ თეზისების პროპაგანდა ჩვენი უახლოესი ამოცანების განმარტებას, თითოეულ მშრომელს ჩაუნერგონ წარმოების ბატონ-პატრონის გრძნობა, მისწრაფება იმუშაოს კომუნისტურად და მტკიცედ შეასრულოს სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა.

ასი დღეღა დარჩა საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვან იუბილემდე. დაე ეს ასი დღე აღინიშნოს შრომის ნამდვილი საოქტომბრო ტემპით, საყოველთაო სახალხო შეჯიბრების მილიონობით მონაწილის ახალი გამარჯვებებით!

ПРАВДА

29 ივლისის მოწინავე

## ვიზიტით მოსკოვში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 28 ივლისს მოსკოვში ჩამოვიდა ისრაელის კომპარტიის პოლიტბიუროს მდივანი ამხ. მ. ვილნერი.

## მეგობრების შეხვედრა

29 ივლისს მეგობრობის სახლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტთა შეხვედრა ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციასთან. სტუმრებს შორის იყვნენ საზოგადოების ცენტრალური გამგეობის გენერალური მდივანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვუ კუოკ უი, ვიეტნამის სახალხო არმიის გმირი ხოანგ ნგოკ ტიონგი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ნგუენ თხო ტიანი, სსრ კავშირში სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მუდმივი წარმომადგენლობის მეთაურის მოვალეობის შესრულებელი დო ხიუ ტი.

## კონკურსი ვ. ი. ლენინის პორტრეტისათვის

**დამთავრდა** კონკურსი ვ. ი. ლენინის პორტრეტისათვის. კონკურსი გამოაცხადეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის მხატვართა კავშირმა.

ჟიურიმ სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ბ. ვ. იოგანსონის თავმჯდომარეობით პრემიებით აღნიშნა ცხრა ნამუშევარი. პირველი პრემია ვ. ი. ლენინის საუკეთესო ფერწერული პორტრეტისათვის მიენიჭა მხატვარ **ი. კნიაზევს** (მოსკოვი). პირველი პრემია სკულპტურული პორტრეტისათვის — **ი. ნეროდასა და გ. ნეროდას**. (საკდესი).

# ბრძანება

## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1967 წლის 30 ივლისი | № 192 | ქ. მოსკოვი

**ამხანაგო** მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდეგებო და სერჟანტებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

ამხანაგო გემთსაშენებლო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი შეიარაღებული ძალები ზეიმობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. მიმდინარე წელს საბჭოთა ადამიანები ამ ტრადიციულ დღესასწაულს აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, საყოველთაო-სახალხო ბრძოლის, სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი აღმავლობის ვითარებაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა გამოხატავენ ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, მტკიცედ იბრძვიან ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, სადავო საკითხთა მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის. მაგრამ რეაქციული იმპერიალისტური წრეები, რომელთა მთავარი დამკვრელი ძალაა ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური ბურჟუაზია, თავიანთი აგრესიული მოქმედებით კვლავ აძლიერებენ საერთაშორისო დაძაბულობას. უკვე დიდი ხანია ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები აწარმოებენ ბინძურ ომს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, განუწყვეტლივ აფართოებენ მის მასშტაბებს.

ამ ბოლო დროს უაღრესად გამწვავდა მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. ისრაელმა, რომელსაც აქეზებენ და მხარს უჭერენ გარკვეული იმპერიალისტური წრეები, განახორციელა თავხედური აგრესია არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და დაიპყრო მათი ტერიტორიის ნაწილი.

სულ უფრო თამამდებიან ნაციზმისა და მილიტარიზმის ძალები დასავლეთ გერმანიაში. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებთან კავშირში ისინი აშკარად მოუწოდებენ, რომ გადაისინჯოს ევროპის არსებული საზღვრები, ცდილობენ ხელთ იგდონ ატომური იარაღი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებენ ყოველივე ამას და ფხიზლად ადევნებენ თვალყურს მშვიდობის მტრების ხრიკებს, ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა შემდგომ უზრუნველყონ სამშობლოს უშიშროება, განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების საბრძოლო თანამეგობრობა.

საბჭოთა მეომრების წმიდათა-წმიდა მოვალეობაა დღითიდღე სრულყონ საბრძოლო ოსტატობა, გაზარდონ თავიანთი სიფხიზლე და საბრძოლო მზადყოფნა.

მოგესალმებით და მოგილოცავთ საყოველთაოსახალხო დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ვუსურვებ სამხედრო მეზღვაურებს ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მხედრული დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში, საბჭოთა ფლოტის სახელოვანი ტრადიციების გამრავლებაში.

გემთსაშენებლო მრეწველობის მუშებსა და მოსამსახურეებს ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს ყველაზე თანამედროვე ხომალდებითა და ტექნიკით სამხედრო-საზღვაო ფლოტის აღჭურვის საქმეში.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 30 ივლისს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ფლოტებსა და ფლოტილიებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

დიდება გმირ საბჭოთა ხალხსა და მის მამაც სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. გრეჩკო.

# 30 ივლისი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

## იმათზე, ვინც ზღვაშია

ჩვენი ქვეყანა 30 ივლისს აღნიშნავს ტრადიციულ დღესასწაულს — სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. საიუბილეო წელს საბჭოთა ადამიანები განსაკუთრებული სიამაყითა და დიდი მადლიერების გრძნობით იგონებენ სამხედრო მეზღვაურთა რევოლუციურ ბრძოლას, ჯავშნოსან „პოტიომკინის" და კრეისერ „ოჩაკოვის" ეკიპაჟების გმირობას, ლეგენდარულ „ავრორას" რომლის სიგნალით დაიწყო ძველი სამყაროს იერიში, ჩვენი მამაცი ფლოტის უჭკნობ დიდებას დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში.

სამხედრო მეზღვაურთა დღესასწაულის წინ საკდესის კორესპონდენტმა ა. მედვედევმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი შტაბის უფროსს ადმირალ ნ. დ. სერგეევს.

— დღეს რით ვლინდება ფლოტში ყველაზე მკაფიოდ მეზღვაურთა რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციები;

— იმით, რომ ხომალდებისა და ქვეგანაყოფების პირადი შემადგენლობა შეუპოვრად ძლევს საზღვაო სამსახურის სიძნელეებს და მხედრული მოვალეობის შესრულების ნიმუშს გვიჩვენებს, — თქვა ადმირალმა. — ფლოტში მუდამ ეხსომებათ სამხედრო მეზღვაურები, რომლებიც რევოლუციური რაზმების პირველ რიგებში გაბედულად და თავდადებით იბრძოდნენ ოქტომბრის გამარჯვებისათვის, რომლებიც წითელ არმიასთან ერთად იცავდნენ საბჭოთა რესპუბლიკას თეთრგვარდიელთა და უცხოელ ინტერვენტთა ურდოებისაგან. ღირსეულად, სიცოცხლის დაუზოგავად ებრძოდნენ მეზღვაურები ჰიტლერელ დამპყრობლებს დიდი სამამულო ომის წლებში. ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში იყვნენ ჩაბმული ხანკოს ნახევარ კუნძულისათვის, მოსკოვისა და ლენინგრადის მისადგომებთან, სტალინგრადთან, გამოიჩინეს უბადლო სიმტკიცე და მამაცობა, როცა იცავდნენ ოდესას, სევასტოპოლს, ჩვენს ჩრდილო საზღვრებს. ასეთივე მარჯვე, ვაჟკაცი მეომრები სურთ იყვნენ დღეს მატროსებს, ზემდეგებს, საზღვაო ოფიცრებს.

საბჭოთა მეზღვაურებს არ აშინებთ არავითარი დაბრკოლება. ყველაზე მკაცრ პირობებში შეუძლიათ მათ კარგად გამოიყენონ თავიანთი იარაღი, უახლესი აპარატურა და მექანიზმები. რა რთულიც უნდა იყოს ხომალდის საბრძოლო ტექნიკა, იგი ყოველთვის მზად არის დაუყოვნებლივ მოქმედებისათვის. ამ ჩინებულ გაწვრთნილობასა და მაღალ საბრძოლო მზადყოფნას საფუძვლად უდევს სამხედრო მეზღვაურთა სახელოვანი ტრადიციები, რომლებიც სულ უფრო მრავლდება.

ამას წინათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ წითელდროშოვან ჩრდილოეთის ფლოტს, დაათვალიერეს უახლესი საბრძოლო ხომალდები და რაკეტული ტექნიკა, ესაუბრნენ მატროსებსა და ოფიცრებს, ნახეს ისინი მოქმედების დროს. სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა პატივსაცემად გამართულ დარბაზობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა გაიხსენა მეზღვაურებთან შეხვედრები და თქვა: „ესენი შესანიშნავი ადამიანები, დიდად განათლებული სპეციალისტები არიან, რომლებსაც შეიძლება სავსებით დაეყრდნოს ჩვენი ხალხი".

ასეთი მაღალი შეფასება აღაფრთოვანებს მეზღვაურებს, საზღვაო მფრინავებს, საზღვაო ქვეითი ჯარისკაცებს, სანაპირო ნაწილების მეომრებს. ისინი კვლავაც ფხიზლად იდგებიან ოკეანეებისა და ზღვების საპატიო სამსახურში.

— როგორია ახლა ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი?

— თანამედროვე ომის მოთხოვნებს ყველაზე მეტად შეესაბამება ატომური მუხტის მატარებელი ბალისტიკური და ფრთიანი რაკეტებით, აგრეთვე შორსმავალი თვითმიზნებადი ტორპედოებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები. ამ ნავების რაკეტებს შეუძლიათ წყლის სიღრმიდან ამოფრენა, ობიექტების მოსპობა, როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაში. თუ დიზელიანი ნავებისათვის წყლისქვეშ ყოფნის ხანგრძლიობას უწინარეს ყოვლისა სათბობისა და ელექტროენერგიის მარაგი განსაზღვრავს, ატომმავლებისათვის ასეთი ზღვარი პრაქტიკულად არ არსებობს. რაც უნდა ძლიერად იყვნენ დაცულნი მოწინააღმდეგის სამხედრო ხომალდების ქვეგანაყოფები, ჩვენს ატომმავლებს შეუძლიათ წარმატებით ებრძოლონ მათ, მოსპონ ის მიწისზედა სამიზნეები, რომლებიც ათასობით კილომეტრზეა დაშორებული.

წყალქვეშა ნავების დამკვრელი ძალის კარგი დამატებაა საზღვაო რაკეტმზიდი ავიაცია. შორი მოქმედების მის რეაქტიულ თვითმფრინავებს შეუძლიათ ყოველგვარ ამინდში, ყოველ დროს შეასრულონ საბრძოლო დავალებანი, მათ აგრეთვე შეუძლიათ მოულოდნელად დაესხნენ თავს და ზიანი მიაყენონ მტრის ფლოტის დაჯგუფებებს შორს ზღვაში. სამხედრო-საზღვაო ფლოტს აქვს წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო თვითმფრინავები, რომელთა ნიმუშები წარმოდგენილი იყო დომოდედოვოს საავიაციო პარადის დროს; არის მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი ვერტმფრენები.

ამ ბოლო წლების მანძილზე ფლოტს შე- [illegible] სერები, სარაკეტო და სატორპედო კატარღები, წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო, ხაღმსაწინააღმდეგო, სადესანტო და სხვა ხომალდები. სანაპირო ჯარის ნაწილებს აქვთ ყოველივე საჭირო ზღვიდან ჩვენი ქვეყნის სანაპიროების საიმედო დაცვისათვის.

ტექნიკურ-საბრძოლო მაჩვენებლებით ჩვენი ფლოტი შეესაბამება მსოფლიოს სამხედრო ხომალდმშენებლობის თანამედროვე მიღწევებს. მაგრამ, როგორც ცნობილია, იარაღი და საბრძოლო ტექნიკა მხოლოდ მაშინ ხდება მრისხანე, როცა ისინი მამაცი, იდეურად ნაწრთობი და დისციპლინირებული მეომრების უნარიან ხელშია. ჩვენი ფლოტის პირადი შემადგენლობა სწორედ ასეთია. წვრთნა, შორეული ლაშქრობანი, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა მოწმობენ, რომ ხომალდების ეკიპაჟები, საზღვაო მფრინავები და ქვეითი ჯარისკაცები, სანაპირო ჯარის ნაწილები ჯეროვნად ფლობენ მინდობილ საბრძოლო ტექნიკას.

— თქვენ შეეხეთ, ამხანაგო ადმირალო, წყალქვეშ მყოფი ნავიდან რაკეტების გაშვებას. როგორ უშვებენ ამ დროს რაკეტებს?

— სქემატურად ეს ასე გამოიყურება. საბრძოლო კურსით მოძრაობის დროს საჭირო მომენტში იძლევიან კომანდას საჰაერო ან დენთის აკუმულატორის წნევის ჩართვის შესახებ და იკუმშული ჰაერი ან დენთის გაზი რაკეტას ნავის ვერტიკალური შახტიდან გამოსტყორცნის. რაკეტა გაივლის წყლის სისქეს, ადის ზღვის დონეზე, რის შემდეგ ამოქმედდება მისი ძრავა, რომელიც უზრუნველყოფს მის შემდგომ ფრენას. დამიზნება ხორციელდება რაკეტაში დამონტაჟებული მართვის სისტემით.

რაკეტების გაშვება შეიძლება როგორც თითო-თითოდ, ისე ჯგუფურად, იმ სამიზნეების შესაბამისად, რომლებიც უნდა დაზიანდნენ.

— ხომ ვერ გაშიფრავდით სიტყვებსაც „შორსმავალი თვითდამიზნებადი ტორპედები". რამდენად შორს შეუძლიათ „წასვლა", რა პრინციპი უდევს საფუძვლად თვითდამიზნებას?

— წინათ ტორპედებს ესროდნენ სამიზნეებს, რომლებიც პირდაპირი ხილვადობის ზონაში იყვნენ. შორსმავალ ტორპედებს შეუძლიათ სამიზნე დააზიანონ ხილული ჰორიზონტის ფარგლებს გარეთ.

რაც შეეხება თვითდამიზნების პრინციპს, აქ შემდეგი უნდა ითქვას, მანამდე სანამ ამ პრინციპს გამოიყენებდნენ, წყალქვეშა ნავები, წყალზედა ხომალდები და თვითმფრინავები ყოველთვის ტორპედოს უშვებდნენ იმ ანგარიშით, რომ იგი შეხვედროდა სამიზნეს გარკვეულ წერტილში. ტორპედო ამ დროს მიდიოდა სწორხაზოვნად და მოხვედრება ბევრად დამოკიდებული იყო იმაზე, შეძლებდა თუ არა ხომალდი — მიზანი აღმოეჩინა მის წინააღმდეგ გაშვებული ტორპედო და ეყოფოდა თუ არა, დრო, რათა თავი აერიდებინა ტორპედოსათვის. ბევრ შემთხვევაში ეს ხერხდებოდა.

თვითმიზნებად ტორპედოებში დადგმულია ხელსაწყოები, რომლებიც როგორც ინჟინრები ამბობენ, მგრძნობიარე არიან ფიზიკური ველებისადმი, რომლებსაც ჩვეულებრივ ხომალდები ქმნიან ნაოსნობის დროს: აკუსტიკური, თბო, ელექტრომაგნიტური და სხვა ფიზიკური ველები. ამ ველების ზონაში მოხვედრისას, ხელსაწყოები „აიძულებენ" ტორპედოს წავიდეს პირდაპირ ხომალდისაკენ, რის გამოც ხომალდს ასეთი შეხვედრის თავიდან აცილება ძალიან უძნელდება.

საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომლის განვითარებისათვის მუდმივად ზრუნავენ ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, თქვა საუბრის დასასრულს ადმირალმა ნ. დ. სერგეევმა, სავსებით შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ჩვენს ფლოტს ყოველივე საჭირო აქვს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი ნაპირები, არა მარტო ჩაფუშოს აგრესორის თავდასხმა ზღვიდან, არამედ დაამარცხოს მოწინააღმდეგის ფლოტი. საბჭოთა სამხედრო მეზღვაურები მუდამ მზად არიან შეასრულონ წმიდათა წმიდა ვალი, დაიცვან სამშობლო, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები. (საკდესი).

## საზეიმო კრება მოსკოვში

**29 ივლისს** ფერადი ალმებით მორთულ საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა და დედაქალაქის გარნიზონის მეომართა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს მიეძღვნა.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ა. ბორისოვმა.

შეკრებილებმა ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

მოხსენება საბჭოთა მეზღვაურების დღესასწაულის შესახებ გააკეთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის პირველმა მოადგილემ ფლოტის ადმირალმა ვ. ა. კასატონოვმა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. (საკდესი).







სურათებზე (მარცხნიდან): [illegible] თა საბრძოლო სწავლება. სადარაჯო „...წინააღმდეგის" წყალქვეშა ნავს; სამ- [illegible] ე გადიან; წყალქვეშა ნავზე ელექტრი- ... და ათეულის მეთაურს მე-2 სტატიის ... თი აზრის ადამიანებს ეძახიან. ისინი ... ექნიკის საუკეთესოდ გამოყენებას.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენგურის ახალი სიცოცხლე

**სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებით 1966-1970 წლებში საქართველოს ენერგოსისტემა საგრძნობლად გაიზრდება. ელექტროენერგიის გამომუშავება 1,9-ჯერ უნდა გადიდდეს. ამუშავდება ენგურის, ვარციხის და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების პირველი რიგის აგრეგატები, 960 ათას კილოვატამდე გადიდდება თბილისის რაიონული თბოელექტროსადგურის სიმძლავრე.**

**თუ ამჟამად რესპუბლიკის ენერგოსისტემის სიმძლავრე 1.560 ათასი კილოვატია, მარტო ენგურჰესის, ნამახვანჰესისა და ვარციხეჰესის საერთო სიმძლავრე 2.280 ათასი კილოვატი იქნება.**

**ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანებულ ენერგოსისტემაში დიდი სიმძლავრეების გადაცემისათვის დადგენილია აშენდეს 500 კილოვატის ძაბვის სისტემათაშორისო მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზები და 500 კილოვატი ძაბვის ქვესადგურები. ამ მიზნით დაპროექტებულია და წარმოებს ენგურჰესი — თბილისის 500 კილოვატი ძაბვის მაგისტრალური ხაზის მშენებლობა.**

Დაიგრიალებდა დინამიტი, შედრკებოდნენ ცადალანდული ფლატეები და ამ თვალუწვდენ ხეობაში გრგვინავდნენ, ზანზარებდნენ მთები... მამალ ჯიხვსავით მოკუნტრუშებდა გულმოცემული ენგური, გასიპულ ლოდებზე ზათქით და ბუბუნით ეკვეთებოდა კლდეებს, თითქოს უხარიაო ამ შეუვალ ფლატეების აღსასრულის მოწევა...

დღეს წინასწარმეტყველურად ჟღერს გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ეს შესანიშნავი სიტყვები.

ქართველ ჰიდრომშენებლებს ადამიანის კეთილ სამსახურში სურთ ჩააყენონ შმაგი ენგური. და ძერასფერი, ქორედქორედი მთების კალთებზე, გოტიკური ტაძრებივით ცაში რომ აზიდულან, იქ დაბლა ბარში, ხელისგულივით გადაშლილ ველებზე, ენგურჰესის მშენებელთა ცხრაათასიან არმიას, დაკოჟრილი მარჯვენით თანამედროვე სამშენებლო ტექნიკას რომ დაუფლებია, რახანია ბუნებასთან ბრძოლა გაუმართავს. კლდეზე ალპინისტივით ჩამოკიდებულნი ადგილს უყელავდნენ დღეს მთას ქამრად შემოვლებულ მოასფალტებულ გზებს, ქვესკნელს შებმულნი გოლიათ მთებს გულს უკორტნიან, ენგურმა გვირაბებში რომ გაიაროს, აშენებენ პატარძალივით კოხტა სახლებს, კულტსაყოფაცხოვრებო ნაგებობებს.

მაგრამ ვისაც საკუთარი თვალით ერთხელ მაინც არ უნახავს სამეგრელოდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ეს 80 კილომეტრამდე გადაჭიმული მშენებლობა, ძნელია წარმოიდგინოს ის გიგანტური სამუშაო, რომელიც მსოფლიოში ამ უნიკალური კაშხალის მშენებლებს გაუწევიათ.

## გიგანტი იღვიძებს

ზუგდიდში ენგურჰესმშენის სამმართველოს უფროსს კონსტანტინე დადიანს რომ ვეწვიეთ, საუბრის დაწყება მეტად გაგვიჭირდა. ძნელი იყო ათასგვარი ქაღალდებით ხელში მომარჯვებული თანამშრომლების ერთბაშად გასტუმრება. თითქმის განუწყვეტლივ წკრიალებდა ტელეფონი, ხაზზე იყო მოსკოვი, თბილისი, ჩელიაბინსკი...

ენგურჰესის მშენებლობას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მოგეხსენებათ, საქართველო რთული და მძლავრი ენერგოსისტემის მქონე რესპუბლიკაა. საბჭოთა ხელისუფლების, განსაკუთრებით შვიდწლედისა და ახალი ხუთწლედის პერიოდში არნახულად გაიზარდა და იზრდება რესპუბლიკის ინდუსტრია. მწყობრში ჩადგა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ასობით საწარმო, რეკონსტრუქციის შედეგად რამდენჯერმე გაიზარდა მრავალი საწარმოს საპროექტო სიმძლავრე, ათეულობით კილომეტრი ელექტროფიცირებული ახალი რკინის მაგისტრალი გვიადვილებს სწრაფად გადავზიდოთ სახალხო მეურნეობის ესა თუ ის პროდუქცია, ყოველივე ეს, ბუნებრივია, მოითხოვს მეტ ელექტროენერგიას. სკკპ XXIII ყრილობამ საქართველოს მშრომელებს საპატიო ამოცანად დაუსახა 1970 წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადასცენ ენგურჰესის პირველი რიგი.

თუ როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, რა სიძნელეებია დღეისათვის ენგურჰესის ობიექტებზე, ამის შესახებ ვთხოვეთ ემბნა სამმართველოს უფროსს კ. დადიანს, რომელმაც გვითხრა:

— ამჟამად მშენებელთა მთელი ყურადღება და მეცადინეობა მიმართულია იმისაკენ, რომ 1968 წლის მეოთხე კვარტალის ბოლოს თაღოვანი კაშხალისათვის ბეტონის ჩაწყობა დავიწყოთ. მანამდე კაშხალის ქვაბულზე უნდა შესრულდეს 1 მილიონ კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაოები, რაც თხოულობს ძალების მაქსიმალურ მობილიზაციას, ორგანიზაციული და ტექნიკური სამუშაოების სიზუსტეს. ეს ამოცანა წარმატებით რომ განხორციელდეს, — ამბობს სამმართველოს უფროსი, — საჭიროა უმოკლეს ვადაში გადაიჭრას შემდეგი საკითხები: საკავშირო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის" თბილისის განყოფილების კოლექტივმა, მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა, უმოკლეს გათვალისწინებულ ვადაში უნდა მოგვაწოდოს კაშხალის ქვაბულის დამუშავების მუშა ნახაზები, ურომლისოდაც, როგორც იტყვიან, ხელფეხშეკრულნი ვართ. მეორე. ზემოთ აღნიშნულ ვადაში ბეტონის ჩაწყობის სამუშაოებს რომ შევუდგეთ, საჭიროა აშენდეს ინერტული მასალების დამხარისხებელი ახალი ქარხანა, რომელმაც საათში უნდა უზრუნველყოს 300 კუბმეტრი ბეტონის ჩაწყობა.

საუბრიდან შევიტყეთ, რომ ამჟამად ბეტონის ქარხნისათვის ლითონკონსტრუქციების დასამონტაჟებლად საფუძვლის ჩაყრა წარმოებს. ლითონკონსტრუქციები (2100 ტონა) მშენებლებმა უნდა მიიღონ „ვოტკინჰესმშენის" ქარხნიდან, იმ ვარაუდით, რომ წლის ბოლოსვე დაიწყონ მონტაჟი. საამისოდ სასწრაფოდ უნდა გადაწყდეს ახალი ბეტონის ქარხნის ადგილსამყოფელი და მომზადდეს მუშა ნახაზები. ამ საკითხის გადაჭრა დიდად არის დამოკიდებული „მთავარჰიდროენერგომშენზე", რომელმაც უახლოეს დროში უნდა გადაწყვიტოს საკითხი სარატოვჰესმშენიდან ქარხნის გადმოტანის შესახებ.

აუცილებელი პირობაა, ამ საკვანძო საკითხების მოგვარება კაშხალის მშენებლობის დაწყებისათვის. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მშენებლებმა გულხელი დაიკრიფონ. საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მოსამზადებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ზუსტად და ხარისხიანად შესრულებაზე, შრომის სწორ ორგანიზაციაზე.

ამჟამად ენგურჰესის კასკადის სამშენებლო სამმართველოები აზუსტებენ სამუშაო გრაფიკებს, რათა მშენებლობას გაშლილი ფრონტით შეუდგნენ. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ გრაფიკებს მაშინ ექნებათ ფასი, თუ საპროექტო ორგანიზაციები, კერძოდ ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის" თბილისის განყოფილება (დირექტორი მ. მღებრიშვილი) და ინსტიტუტ „ორგენერგომშენის" თბილისის ფილიალი (დირექტორი შ. ახვლედიანი) მათი პირობის თანახმად დროულად, აგვისტოს შუა რიცხვებისათვის მიაწვდიან ენგურმშენებლებს სათანადო საპროექტო დოკუმენტაციას.

მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ ენგურჰესის პირველი რიგის ამუშავება მარტო კაშხალის მშენებლობით როდი ამოიწურება. მეტად შრომატევადი სამუშაოებია ჩასატარებელი სადერივაციო გვირაბის გასაყვანად, მიწისქვეშა ჰესის გამყვანი გვირაბისა და ოთხი ვარდნილი ჰესის (თავისი გამყვანი არხითურთ) ასაშენებლად. ამიტომ სავსებით კანონიერია ის ყურადღება, რომელსაც ენგურჰესის სამმართველოს კოლექტივი და ხელმძღვანელობა იჩენენ მსოფლიოში ამ ერთ-ერთი უდიდესი და უნიკალური ჰიდროენერგონაგებობების კომპლექსის მშენებლობისადმი.

ვინც ჰიდრომშენებლობასთან ახლოს არის, აუცილებლად დაგვიდასტურებს, რომ ენგურჰესის კასკადის კომპლექსში შედის არანაკლები მნიშვნელობის ისეთი ჰიდროელექტროსადგური, როგორიც არის ვარდნილი ჰესი № 1. თვითონ განსაჯეთ, მისი ამუშავებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მიიღებს იმდენსავე ელექტროენერგიას, რამდენსაც იძლევა ორივე ელექტროსადგური მდინარე ხრამზე. ამასთანავე უინტერესო არ იქნებოდა აღგვენიშნა, რომ მიწის კაშხალი, რომელიც ერისწყალზე ამ ჰესისათვის შენდება, 60 მეტრის სიმაღლისაა და მისი ტანი 3 მილიონ კუბმეტრზე მეტია.

დიდი სამუშაოები აქვს შესასრულებელი გვირაბმშენის სამმართველოს კოლექტივს. მან 15 კილომეტრი საერთო სიგრძის გვირაბი უნდა გაიყვანოს, რომელიც მეტად რთული ნაგებობაა. საკმარისია ითქვას, რომ გვირაბში წნევა 15 ატმოსფეროს აღემატება, რაც მშენებლებისაგან მოითხოვს სამუშაოების უაღრესად მაღალხარისხოვნად ჩატარებას და ბეტონით მოპირკეთებას. ასეთი წნევისა და ბეტონით მოპირკეთებული გვირაბები სულ სამიოდეა მსოფლიოში.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა ყოველივე ამასთან ერთად არ აღგვენიშნა, რომ დღესდღეობით მშენებლობაზე იგრძნობა ჩამორჩენა, გვირაბების ბეტონით მოპირკეთების საქმეში. ამის მიზეზი ის არის, რომ მშენებლობა ერთი მხრივ არ იყო მომზადებული, არა ჰქონდა ინერტული მასალების დამხარისხებელი საწარმო და ბეტონის ქარხნები. მეორე მხრივ, მშენებლობა დღესაც არ არის მომარაგებული მექანიზირებული და გადასატანი ქარგილებით, რომლებიც გვირაბების ბეტონით მოპირკეთებისათვის არის საჭირო. ენგურჰესელებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" თბილისის სამრეწველო საწარმოთა კომბინატმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას თავისი დამოკიდებულება ენგურჰესის მშენებლობისადმი და უზრუნველყოს იგი არა მარტო ქარგილებით, არამედ სხვა საჭირო ლითონკონსტრუქციებითა და არასტანდარტული მოწყობილობით.

— დღეისათვის მშენებლობაზე, — განაგრძობს სამმართველოს უფროსი კ. დადიანი, — 9 ათასი კაცი მუშაობს. სამუშაო ფრონტი კი დღითიდღე იზრდება და 1968 წლის პირველი კვარტალისათვის მშენებლობაზე საჭირო იქნება დაახლოებით 11-12 ათასი კაცი. ყოველივე ეს რესპუბლიკურ, რაიონულ, პარტიულ და სამეურნეო დაწესებულებათა, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე აყენებს დიდ პატრიოტულ ამოცანას, რათა ეს საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობა უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიციური მუშახელით. ამასთანავე საჭიროა მშენებლებს შევუქმნათ საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობები.

როგორც მშენებლობის სამმართველოში შენიშნეს, უკანასკნელ დღეებში ენგურჰესელების მეგობრული დახმარება რესპუბლიკის რამდენიმე სამინისტრომ იკისრა. მაგალითად, ავტოტრანსპორტის სამინისტრომ მათ უკვე გამოუგზავნა 16 ავტობუსი, რომლებიც მეტად საჭირო იყო სამუშაოებზე მუშახელის გადასაყვანად. დიდ დახმარებას შეპირდნენ მშენებლებს აგრეთვე კავშირგაბმულობის და ვაჭრობის სამინისტროების, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" და ტრესტ „მთავარსპეცმონტაჟის" კოლექტივები.

## შეხვედრა კაშხალთან

Დინამიტებისაგან მკერდმელეწილი კლდეების ნამსხვრევები ეყარა გზადაგზა. გამურული როლერები ბუბუნით დაბობღავდნენ წაღმაუკუღმა. ლაღუმების გრიალი ერთვოდა ენგურის ღრიალს. „ასეთ გზაზე ცხენი თუ დაგიფეთდა, მაშინ მშვიდობით, სიტკბოებავ წუთისოფლისა", — ასე ამბობდა ჩვენი სასიქადულო მწერალი რამდენიმე ათეული წლის წინათ.

ჩვენი 75 ცხენისძალიანი „ვოლგა" უშიშრად მიგვაქროლებდა ენგურის ნაპირებისკენ. აკა, უკან მოვიტოვეთ მუშათა დასახლება ჯვარზენი და სულ მაღლა და მაღლა მივიწევთ. ენგური ძირს დარჩა. აქედან ხელისგულივით მოჩანს ყოველივე. აი ის ადგილი, სადაც უნდა აღიმართოს კაშხალი. მშენებლებმა კარგახანია პირველი დამარცხება აგემეს შმაგ ენგურს და გვირაბის საშუალებით მხარი უცვალეს.

კაშხალმშენის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ნოდარ ემხვარი ენაწყლიანობს. გამოცდილი ჰიდრომშენებელი ცდილობს ყურადღებიდან არაფერი გამოგრჩეს, მოთმინებით გვიპასუხებს ჩვენს შეკითხვებზე.

— რამდენი კაცისაგან შედგება თქვენი კოლექტივი?

— ამჟამად 1100 კაცისაგან, მაგრამ ახლო მომავალში ეს საკმარისი აღარ იქნება. სამუშაოთა ფრონტი დღითიდღე ფართოვდება, მუშახელი კი გვაკლია.

დაგვაინტერესა, კაშხალმშენის კოლექტივის წინაშე წელს რა ამოცანებია დასახული. მათ ევალებათ კაშხალის ქვაბულის მომზადება ბეტონის ჩასაწყობად, კაბელკრანის საფუძვლის მომზადება (რაც მოითხოვს 250 ათას კუბურ მეტრამდე კლდის სამუშაოების შესრულებას, 30 ათასი კუბური მეტრი ბეტონის ჩასხმას, 4 ათასი ტონა ლითონის კონსტრუქციების დამონტაჟებას ღრმა და ვიწრო ხეობაში), აგრეთვე კაშხალის მისასვლელზე რამდენიმე გზის გაყვანა, ბეტონისა და მისი სასაწყობო მეურნეობისა და ოთხძაფიანი ოთხ-ოთხ კილომეტრი სიგრძის საბაგირო გზის მშენებლობა, ინერტული მასალის გამამდიდრებელი საწარმოს აგება.

— აი ის კომპლექსი, — დაასკვნის ნ. ემხვარი, — რომლის დამთავრების შემდეგ მშენებლებს საშუალება ექნებოდათ დაეწყოთ კაშხალის ტანში ბეტონის ჩაწყობა. ამ კომპლექსისა და კლდის სამუშაოთა დამთავრება არსებული პროექტით 33 თვეში იყო გათვალისწინებული. გამოდის, რომ კაშხალის მშენებლობას ანუ ბეტონის ჩაწყობას ჩვენ დავიწყებდით 1970 წელს, რაც ელექტროსადგურის პირველი რიგის ამუშავებას 2-3 წლით დააგვიანებდა.

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ტექნიკურმა კომისიამ დასახა ღონისძიებანი მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად. 400 ათასი კლდისა და 200 ათასი კუბმეტრი ბეტონის ჩაწყობის მოცულობის შემცირებით (რაც პროექტის რაციონალური გაუმჯობესების ხარჯზე მოხერხდა) პირველი რიგის ბეტონის სამუშაოების დროულად დამთავრება შესაძლებელი გახდა. ასევე კლდის თანმიმდევრული დამუშავების ახალი სქემით მშენებლებს საშუალება ექნებათ ერთდროულად აწარმოონ კლდის დამუშავება ფერდობებზე და კაშხალის ტანის ამოყვანა.

მშენებლობის მსვლელობაში პროექტში საჭირო გახდა ზოგიერთი კორექტივის შეტანა. კაშხალის საცობის დაბეტონების დაჩქარების მიზნით გადაწყდა აშენდეს ახალი ბეტონის ქარხანა. ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმის გამო, რომ უკვე მშენებარე უწყვეტი მოქმედების ქარხანა გათვალისწინებულია ექვსფრაქციული ბეტონისათვის, რომელიც კაშხალის ასაშენებლად არის საჭირო. ამასთან ამ ქარხნის აშენების შემთხვევაშიც მეტად გაძნელდებოდა და დაგვიანდებოდა კაშხალის საცობის დაბეტონება, ვინაიდან გვიანდება კაბელკრანის მწყობრში ჩადგომა. კაბელკრანის უქონლად კი შეუძლებელია საცობის ადგილზე ბეტონის მიწოდება. ახალი ქარხნის აშენების აუცილებლობა სწორედ ამან განაპირობაო, დაასკვნა საუბრის ბოლოს ნ. ემხვარმა.

ამჟამად ორი მოპირდაპირე მთის მაღალნიშნულებზე მთავრდება კაბელამწისათვის მოედნისა და კაშხალის მისასვლელი გზების დამუშავება.

...განუწყვეტლივ გუგუნებენ ექსკავატორები, გრეიდერები და ბულდოზერები, მიხვეულ-მოხვეულ გზებზე ქშინავენ ზურგზე კლდემოკიდებული ზემძლავრი სატვირთო ავტომანქანები.

## წარმატებათა და ბარიერებით

Და მაინც ენგურჰესის ვულია მიწისქვეშა ჰესი, რომლის სიმძლავრე 1.300 ათასი კილოვატია. ეს ციფრი უფრო მეტყველი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ საერთოდ მთლიანი კასკადის სიმძლავრე 1.640 ათასი კილოვატია.

ამ ამოცანის გადაწყვეტა ევალება ძალოვანი კვანძის მშენებლობის სამმართველოს კოლექტივს. მისი მოღვაწეობა ძირითადად შემოიფარგლება მიწისქვეშა სამუშაოებით, რომლებიც 85 პროცენტს შეადგენს. აქ უნდა გაიყვანონ 10 კილომეტრამდე სხვადასხვა კვეთის გვირაბი, რომლისთვისაც გახსნილია 10 სანგრევი (სულ 15 უნდა იყოს).

მიწისქვეშა ჰესის ასაგებად ახლა მიმდინარეობს ოთხი შახტის მშენებლობა. ერთი სატვირთოა, ხოლო სამი — ძაბვის ამომწოდებელი, ზედაპირის ქვესადგურისათვის. თვითეული შახტის სიღრმე 130 მეტრია. ჩქარობენ ძალოვანი კვანძის მშენებლები, წლის ბოლომდე მათ გეგმით ჰესის შენობის თაღის დამუშავება უნდა დაიწყონ. ამჟამად აქ ფართო ფრონტით მიმდინარეობს გვირაბების გაყვანა-გაფართოება.

ისწრაფვის შემოქმედი ადამიანი, მაგრამ ყოველთვის როდი აღწევს სასურველ შედეგს. ბევრჯერ და კიდევ მრავალჯერ უხდება მას ერთი და იგივეს დაწყება, იობის მოთმინებითი შრომა, რომ სანუკვარ მიზანს თუნდაც ერთი ნაბიჯით მიუახლოვდეს, მის წინ აღმართული სიძნელე გადალახოს.



ასე მოხდა აქაც. მიწისქვეშა ჰესიდან გადამუშავებული წყლის გამტარ გვირაბში, რომლის განივკვეთი 140 კვმ აღემატება, სიგრძე კი 3 კილომეტრი და 200 მეტრია, მშენებლობის წინაშე გეოლოგიური სიძნელეები აღიმართა. ერთ-ერთ მონაკვეთზე თიხიან ყამირებში 200-მეტრიანი სუსტი უბანი აღმოჩნდა, რამაც სამუშაოები წელიწადნახევრის განმავლობაში შეაფერხა.

— ამ პრობლემის გადაწყვეტაში, — გვიყვება ძალოვანი კვანძის სამმართველოს მთავარი ინჟინერი უშანგი გოჯიაშვილი, — ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის" თბილისის განყოფილების, აგრეთვე მონათესავე საკავშირო ინსტიტუტების თანამშრომლები, ცნობილი ჰიდრომშენებლები.

დიდი ბჭობის შემდეგ გადაწყვიტეს გვირაბის გაყვანა და მისი ბეტონით მოპირკეთება ცალკეული საფეხურებრივი შტოლნებით განეხორციელებინათ, ეს შტოლნები გვირაბის მთელ განივკვეთზე ერთიმეორის მიყოლებით განელაგებინათ. ამ მეთოდით 200-მეტრიანი სუსტი უბნის დამუშავება 3 წელიწადსა და 6 თვეში იყო გათვალისწინებული, ამასთან, მშენებლობის ღირებულება 2 მილიონ 600 ათას მანეთს უდრიდა.

თითქოს სხვა გზა არ იყო. მაგრამ აი მოვიდნენ რაციონალიზატორები, რომლებმაც წამოაყენეს ზემოაღწერილი მეთოდის გამარტივებისა და მშენებლობის ღირებულების შემცირების თვალსაჩინო მოსაზრება.

რაციონალიზატორული წინადადებით, რომლის ავტორები არიან ძალოვანი კვანძის სამმართველოს უფროსი, ცნობილი ჰიდრომშენებელი ა. ცნობილაძე, მთავარი ინჟინერი უ. გოჯიაშვილი, ტექნიკური განყოფილების უფროსი ი. მაისურაძე, მთავარი ინჟინრის მოადგილე ვ. შედანია და სხვები, გვირაბის გაყვანა და დაბეტონება ხდება ზედა და ქვედა საფეხურით, სამთო მეთოდით. მცირე მონაკვეთებზე ჯერ წარმოებს გვირაბის თაღის გაყვანა და დაბეტონება, რამაც საშუალება მისცა მშენებლებს უსაშიშროების პირობებში დაემუშავებინათ გვირაბის ქვედა საფეხურიც.

მშენებლები შარშან ნოემბრიდან შეუდგნენ აღნიშნული უბნის ამ მეთოდით დამუშავებას. მათ იკისრეს ზედა საფეხურის სამუშაოებიც საოქტომბროდ დაამთავრონ. ამ წინადადების განხორციელებით მნიშვნელოვნად შემცირდა ბეტონისა და ყამირი მიწის სამუშაოების მოცულობა, ლიკვიდირებულ იქნა უამრავ დამხმარე სამუშაოთა ჩატარება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ერთი წლით შემცირდა გვირაბის ამ უბნის გაყვანის ვადა. საბოლოოდ რაციონალიზატორებმა სახელმწიფოს მილიონ 300 ათასი მანეთი დაუზოგეს.

ძალოვანი კვანძის კოლექტივი ერთ-ერთი მოწინავეა ენგურჰესის მშენებელთა შორის. მან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 6 თვის სახელმწიფო გეგმა 104 პროცენტით შეასრულა.

— მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, — განაცხადა სამმართველოს უფროსმა აკაკი ცნობილაძემ, — თითქოს ჩვენ ყველაფერი რიგზე გვქონდეს. მაგალითად, 6 თვეში გვირაბიდან ქანის გამოტანის გეგმა 78 პროცენტით შევასრულეთ. რა არის ამის მიზეზი? დღეისათვის გვაკლია ნორმით გათვალისწინებული 229 კვალიფიციური მუშა. ამის გამო ზოგ ადგილზე მართალია სანგრევები გავხსენით, მაგრამ მუშაობა ადგილიდან ვერ დავძარით.

ძალოვანი კვანძის სამმართველოში შენიშნეს, რომ დღითიდღე შეუძლებელი ხდება გვირაბებში ბეტონის სამუშაოთა გაშლა. ეს იმიტომ, რომ მუშახელის სიმცირესთან ერთად, მშენებლებს საკმარისი რაოდენობით არ გააჩნიათ ბეტონის ჩასასხმელი ქარგილები. ეს ქარგილები საჭირო რაოდენობის მხოლოდ 40 პროცენტი აქვთ!

როგორც ირკვევა, ქარგილები ენგურჰესის მშენებლობაზე ვიწრო ადგილად ითვლება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაც დამზადებულია და ადგილებზეა მიტანილი, მისი გამოყენების კოეფიციენტიც მეტად მცირეა.

მაგალითად, გვირაბების სამშენებლო სამმართველოს ევალება სადერივაციო საწნეო გვირაბის 10 სანგრევიდან გაიყვანოს 8, რომელთა საერთო სიგრძე 11 კილომეტრი და 711 მეტრია. დღეისათვის, მართალია, გაყვანილია 5,5 კილომეტრი ძირითადი გვირაბი, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ 400 მეტრია დაბეტონებული! მაგრამ ამას ქარგილებით მოუმარაგებლობას ვერ მივაწერთ. და აი რატომ. აღნიშნული სამმართველოს ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" სახელზე გაგზავნილი უკანასკნელი ცნობის მიხედვით სადერივაციო გვირაბის მშენებლობისათვის 3.319 ვარგისი ქარგილი აქვს, რითაც ერთდროულად შეიძლება 150 მეტრი სიგრძის გვირაბი დაბეტონდეს. გამოდის, რომ გვირაბების სამშენებლო სამმართველოს საშუალოდ თვეში 450 მეტრი სიგრძის გვირაბი მაინც უნდა დაებეტონებინა!

რაშია საქმე? როგორ ურიგდებოდა ასეთ მდგომარეობას, ვთქვათ, ძალოვანი კვანძის ხელმძღვანელობა?

— ვინაიდან ჩვენს სამმართველოს უშუალოდ არ შეუძლია წარმოებასთან დადოს ხელშეკრულება აღნიშნულ ქარგილებზე, — განგვიმარტავს ა. ცნობილაძე, — თითქმის ყოველთვიურად მივმართავდით ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს დაგვეხმარებოდა და დაეკვეთა რამოდენიმე კომპლექტი. უფრო მეტიც, თითქმის ყველა საწარმოო თათბირზე, რომელიც ტრესტის ხელმძღვანელების ინიციატივით ეწყობოდა, ამაზე იყო ლაპარაკი...

მდგომარეობამ აიძულა ძალოვანი კვანძის სამმართველოს ხელმძღვანელები საკუთარი ძალებით დაემზადებინათ ექვსმეტრიანი გადასაადგილებელი ქარგილების თუნდაც ერთი კომპლექტი და აი ორი თვეა წვალობენ, რომ პრიმიტიული საშუალებებით შექმნან ეს კომპლექტი. ჩქარობენ, რომ იქნებ როგორმე აგვისტოს შუა რიცხვებში მოათავონ. იხარჯება ზედმეტი თანხა, ლითონი, დრო, შრომითი რესურსები, მაშინ როცა ტრესტ „საქჰიდროენერგომშენს" საკუთარი წარმოება აქვს! როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!..

ენგურჰესის მშენებლობის თითქმის ყველა უბანზე საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ საკმაო რაოდენობით არა აქვთ, ზოგჯერ კი სულაც არ გააჩნიათ ბეტონისათვის საჭირო დახარისხებული ინერტული მასალა, საარმატურო ლითონი, პნევმატური შლანგი, ელექტროკაბელი და ელექტრომოწყობილობა, ბულდოზერები, ამწეები, ექსკავატორები და სხვ. ისინი რწმენას გამოთქვამენ, რომ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოებისა და ტექნიკური კომისიის მიერ დასახული ღონისძიებანი, აგრეთვე ზემოაღნიშნული შეფები — რესპუბლიკური სამინისტროები არსებული ნაკლის დაძლევაში დაეხმარებიან.

## ვარდნილი — № 1

Ენგურჰესის მშენებლობაზე მკითხველმა შედარებით სრული წარმოდგენა რომ იქონიოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი და მნიშვნელოვანი საქმიანობა, რომელსაც ვარდნილი ჰესების სამშენებლო სამმართველო (უფროსი გ. ჩუბინიძე, მთავარი ინჟინერი ო. ჭინჭარაული) ეწევა. ამჟამად მთელი კოლექტივის მეცადინეობა წარმართულია იქითკენ, რომ ნოემბრისათვის მდინარე ერისწყალი სამშენებლო გვირაბში გადააგდონ და № 1 ვარდნილი ჰესის მიწის კაშხალის მშენებლობას შეუდგნენ. ეს ჰესი 220 ათასი კილოვატ სიმძლავრისა იქნება, კაშხალის სიმაღლე კი 60 მეტრია. 15 ივლისს მშენებლებმა ორი კილომეტრის მანძილზე შეუცვალეს მდინარეს კალაპოტი, რითაც გაათავისუფლეს ადგილი საგენერატორო შენობისა და საექსპლოატაციო წყალსადენისათვის.

ვარდნილი ჰესის № 1-ის ასამუშავებლად საჭიროა შესრულდეს 9 მილიონი კუბმეტრი მიწისა და 255 ათასი კუბმეტრი ბეტონის სამუშაოები. წარმატებით მიმდინარეობს ჰესიდან წყალგამყვანი არხის მშენებლობა, რომელიც მთელ ფრონტზე სრულდება.

მაგრამ მარტო ეს როდი კმარა. მშენებლობის დასაჩქარებლად აუცილებელია „ჰიდროპროექტის" თბილისის განყოფილებამ გრაფიკის მიხედვით ზუსტად მისცეს მშენებლებს მუშა ნახაზები და ხარჯთაღრიცხვები, კერძოდ, კაშხალის, საწნეო მილსადენის, საგენერატორო სადგურის შენობისა და კაშხალის ქვაბულის ნახაზები.

აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნულ საპროექტო ორგანიზაციას იოლი ამოცანა როდი აკისრია. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმისათვის დამპროექტებლების პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება და პატრიოტული გრძნობა იმის საწინდარია, რომ წარმატებით დაძლევენ ამ საპატიო დავალებას.

მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა ო. ჭინჭარაულმა საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ მუშათა დაბებში არადამაკმაყოფილებელია საზოგადოებრივი კვების ობიექტების მუშაობა, ცუდია კავშირგაბმულობა რეჩხსა და ზუგდიდს შორის. სამედიცინო მომსახურებაც დაბალ დონეზეა. ორი ექთანი და ახლახან ჩამოსული სტომატოლოგი, ცხადია, ვერ მოემსახურება 700-კაციან დასახლებას.

დასასრულ, ერთი საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, პრინციპულ გადაწყვეტას მოითხოვს. ზემდგომი ორგანოების დადგენილებით რესპუბლიკის რაიონების ხელმძღვანელებს ევალებათ ენგურჰესის მშენებლობაზე გაგზავნონ მუშახელი. როგორც შემოწმებამ დაგვარწმუნა, ამ მხრივ ზოგიერთი რაიონი პასიურობას იჩენს. მაგალითად, ახალციხის, ხაშურის, გორის, კასპისა და მარნეულის რაიონების ხელმძღვანელობას არც ერთი კაცი არ გაუგზავნია ამ საკავშირო მნიშვნელობის ობიექტზე. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი დიდ დახმარებას აღმოუჩენს ენგურჰესის კოლექტივს ამ საკითხის დადებითად გადაჭრაში.

## მრგვალ მაგიდასთან

Ყოველდღიურად სულ უფრო იზრდება ენგურჰესისათვის საჭირო საშენი მასალების რაოდენობა. ამიტომ მშენებელთა წარმატებაც დიდად არის დამოკიდებული ტრანსპორტის მოქნილ, ოპერატიულ მუშაობაზე. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მშენებლობას აქვს ყველა სახის საკმარისი სატრანსპორტო საშუალებანი, მაგრამ მუშაობა მაინც ფერხდება.

ამ დღეებში ენგურჰესის მშენებლობის პარტიულმა კომიტეტმა სპეციალურ სხდომაზე განიხილა ტრანსპორტის მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ განსაკუთრებით ცუდად მუშაობს პირველი ავტოსატრანსპორტო კანტორა (უფროსი რ. ქებურია, პარტბიუროს მდივანი გ. აფშილავა), მათ ვერ შეძლეს შრომის ორგანიზაციის სათანადო დონეზე დაყენება, რის შედეგადაც კანტორის კოლექტივს სავალალო ეკონომიური მაჩვენებელი აქვს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტი გეგმით გათვალისწინებული 0,65 პროცენტის ნაცვლად 0,53 პროცენტს უდრის. ტონა ტვირთამწეობის გამომუშავებამ 5.370 ტონა-კილომეტრი შეადგინა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.200 ტონა-კილომეტრისა.



კომუნისტებმა მკაცრი კრიტიკით აღნიშნეს ის ფაქტი, რომ მძღოლები თვითნებურად, ავტოპარკის ხელმძღვანელობის ნებართვის უქონლად ტოვებენ მათთვის მიკუთვნებულ სამუშაო უბანს და ემსახურებიან მეორეს. ხშირია პარკში მანქანების დაგვიანებით შემოსვლის ფაქტები. შემოწმების დღეს პარკიდან გასული 96 ავტომანქანიდან ორმოცი პროცენტი თითო-თითო საათის დაგვიანებით შემოვიდა. მოუგვარებელია ავტოტრანსპორტის რემონტისა და პროფილაქტიკის საკითხიც.

ავტოსატრანსპორტო კანტორის ცუდი ეკონომიურ-ტექნიკური მაჩვენებელი ხელმძღვანელების სუსტი მუშაობითა და უკონტროლობით არის გამოწვეული.

პარტიულმა კომიტეტმა დაადგინა ავტოტრანსპორტის მუშაკები, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით გადაყვანილ იქნან ორცვლიან სამუშაო დღეზე, რაც უთუოდ დადებით შედეგს გამოიღებს და ავტოპარკიც გაძლიერდება კვალიფიციური მუშახელით...

* * *

...ჯიხვივით მოკუნტრუშებს გულმოცემული ენგური, გასიპულ ლოდებზე ზათქით და ბუბუნით ეხეთქება კლდეებს, თითქოს უხარიაო ამ შეუვალ ფლატეებში ახალი სიცოცხლის ჩადგომა.

ო. არობელიძე,
გ. ნოდია,
„კომუნისტის" სპეც კორესპონდენტები.
ზუგდიდი, ენგურჰესის მშენებლობა.

* * *

**სურათებზე: მარცხნივ — განუწყვეტლივ გუგუნებენ ექსკავატორები, გრეიდერები და ბულდოზერები, მიხვეულ-მოხვეულ გზებზე ქშინავენ ზურგზე კლდემოკიდებული ზემძლავრი სატვირთო ავტომანქანები; (ქვემოთ) პატარძალივით კოხტა სახლებითა და კულტსაყოფაცხოვრებო ნაგებობებით დამშვენებულა საბერიოს მუშათა დასახლება; (მარჯვნივ ზემოდან) აი ის ადგილი, სადაც უნდა აღიმართოს ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი; კლდეზე ალპინისტივით ჩამოკიდებული მბურღავი ადგილს უყელავს მთას, ცენტრში — სამუშაო გვირაბი.**

ფოტო ხ. კილაძისა და პ. ლუცენკოსი.







# სსრ კავშირი — მშვიდობის ფორპოსტი

## ვალდეკ როშეს ინტერვიუ

პარიზი, 29 ივლისი. (საკდესი). დღეს „ლუმანიტე" აქვეყნებს საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის ვალდეკ როშეს ინტერვიუს შვეიცარიის გაზეთ „ტრიბუნ დე ლოზანის" კორესპონდენტისადმი მემარცხენე დემოკრატიული პარტიების მოქმედების ერთიანობის საკითხებზე.

უპასუხა რა კორესპონდენტის კითხვებზე, ვალდეკ როშემ განაცხადა, კერძოდ, რომ საფრანგეთის მემარცხენე ძალების მიერ უმრავლესობის მოპოვებამ შესაძლოა ორი პირობის საფუძველზე: თუ მიაღწევენ მოქმედების ერთიანობას, რათა ხალხის უფართოესი მასები დარაზმონ მთავრობის ანტისოციალურ და ანტიდემოკრატიულ ღონისძიებათა წინააღმდეგ საბრძოლველად და თუ საფრანგეთის კომპარტია და მემარცხენე დემოკრატიული პარტიები შეიმუშავებენ ერთიან პროგრამას იმისათვის, რომ მოქმედების ნათელი პერსპექტივა დაუსახონ ფრანგ ხალხს.

საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა შემდეგ აღნიშნა, რომ კომუნისტების სოციალური პროგრამის მიზანია „გაათავისუფლონ სახელმწიფო იმპერიალისტური მონოპოლიების ძალმომრეობისაგან, ხოლო ამისათვის საჭიროა განახორციელონ ეკონომიკის საკვანძო დარგების თანდათანობითი ნაციონალიზაცია, შეიმუშაონ ეკონომიური განვითარების გეგმა, განახორციელონ დემოკრატიული რეფორმა კანონისა გადასახადების შესახებ".

„უკანასკნელი წლების მანძილზე მსოფლიოში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებანი, თქვა ვალდეკ როშემ, მემარცხენე დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს ავალებენ შეიმუშაონ მშვიდობის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საყოველთაო განიარაღების ახალი პოლიტიკა. აღნიშნა რა, რომ ცივი ომის დრო დიდი ხანია გავიდა და ახლა ქვეყანაზე არავის სჯერა „საბჭოთა საშიშროებისა", ვ. როშემ ხაზი გაუსვა, რომ „დღეს ,სოციალისტური პარტიისა და რადიკალთა პარტიის ხელმძღვანელები აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომელიც არ უქმნის რაიმე საფრთხეს დასავლეთის სახელმწიფოებს. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატები გამუდმებით და ყველგან ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, კერძოდ იარაღის საშუალებით, როგორც ეს ხდება ვიეტნამში".

უპასუხა რა კითხვაზე ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან საფრანგეთის გამოსვლის შესახებ, ვალდეკ როშემ განაცხადა, რომ „ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში საფრანგეთის ინტერესები არ მოითხოვს მონაწილეობას იღებდეს ერთ სამხედრო ბლოკში მეორის წინააღმდეგ, რადგან ამან შეიძლება ჩვენი ქვეყანა ჩააბას ახალ მსოფლიო ომში, რაც არ შეესაბამება მის ინტერესებს. საფრანგეთის მისიაა ეცადოს გამოიყენოს ხალხების დაახლოება, ხელი შეუწყოს საყოველთაო განიარაღებას, სამხედრო ბლოკების ლიკვიდაციას იმ მიზნით, რომ შეიქმნას ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების კოლექტიური სისტემა".

# ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პროტესტი

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას

პრაღა, 29 ივლისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განუცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას იმის გამო, რომ 28 ივლისს პროვოკაციები მოაწყვეს ჩეხოსლოვაკიის პეკინის საელჩოს შენობასთან.

ნოტაში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დავალებით გადასცა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებულთ ჩეხოსლოვაკიაში, ნათქვამია, რომ პროვოკაციების დროს უხეშად შეურაცხყოფდნენ ჩეხოსლოვაკიასა და მის ხელმძღვანელებს, დააზიანეს საელჩოს ქონება.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის პრესაში და რადიოში დაიწყო ჩეხოსლოვაკიის საწინააღმდეგო კამპანია, რომელმაც სიგნალი მისცა პროვოკატორებს.

ყოველივე ეს, ნათქვამია ნოტაში, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ჩინეთი ყოველნაირად ცდილობს გააუარესოს ურთიერთობა ჩეხოსლოვაკიასთან.

* * *

დღეს ხუნვეიბინთა და ძაოფანთა ჩეხოსლოვაკიის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ჩეხოსლოვაკიის პეკინის საელჩოს შენობასთან გრძელდებოდა.

## მდგომარეობა ნიგერიაში

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). ფედერალური ჯარები, რომლებმაც სამხედრო-საზღვაო დესანტის გადასხმით დაიკავეს აღმოსავლეთ ნიგერიის ბონის ნავსადგური, ამჟამად კონტროლს უწევენ აღმოსავლეთ ნიგერიის ზღვის სანაპიროს.

როგორც რეიტერის სააგენტოს ლაგოსელი კორესპონდენტი იუწყება, ეს განაცხადა ნიგერიის ფედერალური სამხედრო მთავრობის წარმომადგენელმა, რომელმაც აგრეთვე აღნიშნა, რომ სამხედრო მოქმედება ბონის რაიონში ფაქტიურად შეწყდა და ფედერალური არმიის ნაწილები ეწევიან ხელში ჩაგდებული პოზიციების შემოტკიცებას.

ფედერალურმა სამხედრო მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი ნიგერიაში ტერორისტული საქმიანობისათვის სიკვდილით დასჯის შესახებ. ეს გადაწყვეტილება იმასთან არის დაკავშირებული, რომ ამ ბოლო დღეებში რამდენჯერმე აფეთქდა უცნობი პირების მიერ ჩადებული ბომბები, რის შედეგადაც 8 კაცი დაიღუპა.

ენუგუს რადიო, რომელიც წინათ იუწყებოდა, რომ ჩაიშალა ფედერალური ჯარების ცდები დესანტი გადაესხათ ბონიში, ახლა აცხადებს, რომ ამჟამად ქალაქ ბონის ქუჩებში წარმოებს მძიმე ბრძოლები აღმოსავლეთ ნიგერიის არმიის ნაწილებსა და ფედერალური მთავრობის ჯარებს შორის.

## ალიკვეთოს ბარბაროსობა

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). არაბ სამხედრო ტყვეებისადმი ისრაელთა სასტიკი, ბარბაროსული მოპყრობის ფაქტებს აცნობებს იორდანიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ელ-ფარა თავის წერილში, რომელიც გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს. ისრაელთა დამოკიდებულება არაბ სამხედრო ტყვეებისადმი, ნათქვამია წერილში, ჟენევის შეთანხმებათა, აგრეთვე სამხედრო ტყვეებისადმი, დაჭრილებისა და ავადმყოფებისადმი მოპყრობის საერთაშორისო ნორმათა უაღრესად უხეში დარღვევაა.

ისრაელები აწამებენ, აგრეთვე მასობრივად სცემენ ტყვე იორდანიელ ჯარისკაცებს, ამასთან იყენებენ მათრახსა და თოფის კონდახს.

სხვა შემთხვევაში ასზე მეტი არაბი სამხედრო ტყვე ვიწრო საკანში დაამწყვდიეს, და როცა ზოგიერთმა სცადა ფანჯრის გაღება, რომ არ დახუთულიყვნენ ,ისრაელმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს მათ. მოკლულია ორი იორდანიელი და ერთი ეგვიპტელი.

სამხედრო ტყვეების კვება აუტანელია ცუდი ხარისხის გამო და სრულიად არასაკმაოა. ხუთი სამხედრო ტყვის ერთი დღის ულუფა მცირეწლოვან ბავშვსაც კი არ ეყოფა.

ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცები ჰოსპიტლებიდან გადაიყვანეს საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც საერთოდ არ არის სამედიცინო მომსახურება. წერილში ხაზგასმულია, რომ ბევრი დაჭრილის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

იორდანიის წარმომადგენლის წერილი დღეს გაავრცელეს უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოფიციალურ დოკუმენტად.

## დემონსტრაცია დელიში

დელი, 29 ივლისი. (საკდესი). 2 ათასზე მეტი კაცი იღებდა მონაწილეობას გუშინ საპროტესტო დემონსტრაციაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან. დემონსტრაცია გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს ისრაელის აგრესიას არაბ ხალხთა წინააღმდეგ. ამას იუწყება პრეს ტრასტ ოფ ინდიის სააგენტო. მემორანდუმში, რომელიც დემონსტრაციის მონაწილეებმა გადასცეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ნათქვამია: „თქვენი მთავრობისა და დასავლეთის სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების წაქეზება და მხარდაჭერა რომ არა, ისრაელი ვერ გაბედავდა თავს დასხმოდა არაბულ ქვეყნებს, ვერ უგულებელყოფდა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს".

# საერთაშორისო ცხოვრება

## ტ. ჟივკოვისა და ლ. ლონგოს შეხვედრა

სოფია, 29 ივლისი. (საკდესი). აქ გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ტოდორ ჟივკოვისა და იტალიის კომპარტიის გენერალური მდივნის ლუიჯი ლონგოს შეხვედრა, რომელიც დასასვენებლადაა ბულგარეთში. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საუბრის დროს განიხილეს საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხები. ტ. ჟივკოვმა და ლ. ლონგომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ახლო აღმოსავლეთის კრიზისს, რომელიც წარმოიშვა ისრაელის აგრესიის შედეგად, აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის გზებსა და ამ რაიონში მშვიდობის აღდგენას.

## დასჯა თუ წაქეზება?

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). ფაშისტ ავაზაკს რონალდ ტილემანსს, რომელმაც გასული წლის დეკემბერში მძიმედ დაჭრა პისტოლეტით დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრი აივორ ბლუმი, მიუსაჯეს მხოლოდ... 18 თვის პატიმრობა. ინგლისის სასამართლოს უცნაური გულმოწყალეობა ფაშისტი არამზადისადმი გაკვირვებას იწვევს ინგლისის საზოგადოებრიობაში.

## ვიეტნამელ ხალხს ვერ დაიმონებენ

პარიზი. საფრანგეთის მშვიდობისათვის მოძრაობის ეროვნული ბიუროს დელეგაციამ ვიეტნამის წითელი ჯვრის წარმომადგენელს გადასცა 3 მილიონი ძველი ფრანკის ჩეკი.

სახსრების საერთო ოდენობა, რომელიც საფრანგეთის მშვიდობისათვის მოძრაობის ეროვნულმა საბჭომ გადასცა ვიეტნამის წითელ ჯვარს და დახარჯა ვიეტნამში გასაგზავნი ქირურგიული მასალების ყიდვისათვის, 14 მილიონ ფრანკს შეადგენს.

რომი. ქალაქ კარპის (ჩრდილოეთი იტალია) 20.000-ზე მეტმა მცხოვრებმა ხელი მოაწერა მიმართვას იტალიის პარლამენტისადმი, რომელშიც მოუწოდებენ დაგმონ ამერიკის აგრესია ვიეტნამში და მოითხოვონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

რაბათი. მაროკოს გაზეთი „ალ-კიფაჰ ალ-ვატანი" სტატიაში, რომელიც ეძღვნება ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის გმირულ ბრძოლას, აღნიშნავს, რომ ვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაიწყო ახალი, გადამწყვეტი ეტაპი. ეს ეტაპი ხასიათდება სამხრეთ ვიეტნამში განთავისუფლების არმიის ფართო შეტევითი ოპერაციებითა და აგრესორის დიდი ძალების განადგურებით.

„შეუძლებელია იმ ხალხის დამორჩილება, — ხაზს უსვამს გაზეთი, — რომელსაც არ სურს მონობა, რომელმაც მიზნად დაისახა გამარჯვება".

ბრიუსელი. ანტვერპენის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების 120 მასწავლებელმა ხელი მოაწერა პეტიციას, რომელშიც მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ და საბოლოოდ შეწყვიტოს ამერიკამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა, დაუყოვნებლივ გაიყვანოს თავისი ჯარები ვიეტნამიდან და შეწყვიდეს უცხოეთის ყოველგვარი ჩარევა ვიეტნამის საქმეებში, რათა საშუალება მისცეს ვიეტნამელ ხალხს თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

პეტიციის ხელისმომწერნი დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ბელგიამ შეწყვიტოს ვიეტნამის ომში ყოველგვარი პირდაპირი და არაპირდაპირი მონაწილეობა, რომელიც გამომდინარეობს ეგრეთ წოდებული ატლანტიკური სოლიდარობიდან. (საკდესი).

## განთავისუფლების არმიის წარმატება

ჰანოი, 29 ივლისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის მებრძოლებმა 26 ივლისს ცეცხლი დაუშინეს ამერიკის ჯარებს დოკმეისა და კონტიენის რაიონში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების სააგენტოს.

ცნობაში ნათქვამია, რომ ამერიკის ჯარების ორივე პოზიცია მთლიანად გამოყვანილია მწყობრიდან, დახოცილი და დაჭრილია ბევრი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

13 ივლისს, იუწყება განთავისუფლების სააგენტო, ზიალინის რაიონში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა მიიტანეს მთელი რიგი იერიშები, რომელთა შედეგად დახოცილია 200-მდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, მწყობრიდან გამოყვანილია 7 ქვემეხი, 9 ვერტმფრენი და მოსპობილია 21 ბუნკერი.

## კის განცხადება

ვაშინგტონი, 29 ივლისი. (საკდესი). საიგონის მარიონეტმა პრემიერმა კიმ განაცხადა, რომ დაამხობს ყოველ ოპოზიციურ მთავრობას, რომელიც კი შეიძლება შეიქმნას „არჩევნების" შედეგად, არჩევნები სამხრეთ ვიეტნამში უნდა გაიმართოს სექტემბერში. როგორც ჩანს, სანამ ამ განცხადებას გააკეთებდა, მარიონეტმა პრემიერმა შეიპირა ვაშინგტონელი პატრონების თანხმობა. ამას წინათ იგი საიგონში ეთათბირა თეთრი სახლის სპეციალურ წარმომადგენლებს.

პრესის ცნობებიდან ჩანს, რომ კი შეპირდა ვაშინგტონელ ემისრებს სამხრეთ ვიეტნამის რეგულარულ არმიას დაუმატოს 65 ათასი ჯარისკაცი, რის შედეგად მისი რიცხვი 700 ათასამდე გაიზრდება.

## ესკალაცია გრძელდება

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იმოწმებს ამერიკის სარდლობის განცხადებას და გვატყობინებს, რომ დღეს ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფები შეიჭრნენ ვიეტნამის დემილიტარიზებული ზონის სამხრეთ ნაწილში.

# დამსჯელები აჯამებენ შედეგებს

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ი. აბლამოვი გვატყობინებს:

ჯარებმა და პოლიციამ სამხედრო ვერტმფრენავებისა და ტანკების დახმარებით ჩაახშვეს დეტროიტის ზანგი მოსახლეობის გამოსვლა.

საშინელი გაჭირვებით, უმუშევრობით, რასობრივი და ეკონომიური უთანასწორობით, სოციალური ჩაგვრით გამოწვეულ სასოწარკვეთილებას ამ ბოლო დღეებში ისეთი ძალის სტიქიური მღელვარება მოჰყვა დეტროიტში, რომ მთელი ამერიკა შეაზანზარა. ტყის ხანძარივით მოედო ზანგთა გამოსვლები ამერიკის შეერთებული შტატების ათობით სხვა ქალაქს.

როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ახლანდელი გამოსვლების თავისებურება ის არის, რომ მათი მთავარი მამოძრავებელი ძალაა ზანგთა სიღატაკე. ეს გამოსვლები ჯერჯერობით სტიქიური და არაორგანიზებულია, მაგრამ მონაწილეთა გაფთორება და აღშფოთება ისეთია, რომ დეტროიტში, მაგალითად, მთავრობას მოუხდა ათასობით პარაშუტისტის გაგზავნა, რომლებიც ამას წინათ დაბრუნდნენ ვიეტნამიდან და ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებთან და პოლიციელებთან ერთად 5 დღის განმავლობაში ნამდვილ ბრძოლებს აწარმოებდნენ ქალაქის ზანგი მოსახლეობის წინააღმდეგ.

შეჯამებულია სადამსჯელო ოპერაციის პირველი შედეგები — 38 დახოცილი, დაახლოებით 2 ათასი დაჭრილი და 3.500-მდე დაპატიმრებული. მათ შორის ბევრი ქალი და ბავშვია. ქალაქმა დიდი ნგრევა განიცადა — თითქმის 5 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა. შედარებით მშვიდი გუშინდელი დღის შემდეგ დღეს ადრე დილით ზოგან კვლავ ატყდა სროლა. შტატის გუბერნატორმა რომნიმ ჯერ გააუქმა, შემდეგ კი კვლავ შემოიღო კომენდანტის საათი საღამოს 9 საათიდან 5 საათი და 30 წუთამდე. 4.700 პარაშუტისტი, ეროვნული გვარდიის 6.000 ჯარისკაცი და 4.800 პოლიციელი კვლავ იკავებენ საბრძოლო პოზიციებს ქალაქში.

ზანგთა გამოსვლები გრძელდება ზოგიერთ სხვა ქალაქში. ფილადელფიაში ზანგებმა ქვა და ბოთლი დაუშინეს პოლიციას. როცა პოლიციამ ზანგი დაჭრიტა, მღელვარება მოხდა ლორეინში (ოჰაიოს შტატი). ქალაქში შეიყვანეს ეროვნული გვარდიის ჯარები.

პოლიციისა და ზანგთა ჯგუფების შეტაკების შედეგად ცინცინატში დაჭრილია ექვსი და დაპატიმრებულია 17 კაცი. ეროვნული გვარდიის 1.000 ჯარისკაცი კვლავ იკავებს საბრძოლო პოზიციებს საუტ-ბენდში (ინდიანის შტატი), სადაც რასობრივი მღელვარება მოხდა. ზანგ მოსახლეობასთან შეტაკებების შემდეგ უოტერბერიში (კონექტიკუტის შტატი) პოლიციამ ალყა შემოარტყა ზანგთა უბნებს.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს მოჰყავს ზოგიერთი მონაცემი, რომლებიც განმარტავენ დეტროიტში დაწყებული ზანგთა აჯანყების მიზეზებს. ქალაქში მცხოვრები თითქმის ყოველი მესამე ზანგი უმუშევარია. ზანგის ოჯახის საშუალო ყოველწლიური შემოსავალი ორჯერ ნაკლებია, ვიდრე თეთრკანიანისა. უშედეგოდ დამთავრდა ქალაქის ჯურღმულების მოსპობის ცდები. როცა ამგვარ პირობებში მცხოვრებთ ასეთი სასოწარკვეთილება მოიცავს ხოლმე, მღელვარება გარდუვალი ხდება, განაცხადა ზანგთა ერთ-ერთმა ლიდერმა კლაიდ კლივლენდმა.

# ჩინეთის ამბები

როგორც საინფორმაციო სააგენტოთა კორესპონდენტები ჩინეთიდან გვატყობინებენ, ქალაქ უხანში, სადაც გასულ კვირაში მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგეებმა დააპატიმრეს საზოგადოებრივი უშიშროების მინისტრი სე ფუ-ჯი და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „კულტურული რევოლუციის" საქმეთა ჯგუფის წევრი ვან ლი, გადმოსხეს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის პარაშუტისტთა დესანტი. არმიის ამ ქვეგანაყოფთა ჯარისკაცებმა, რომლებიც პეკინის მმართველი დაჯგუფების ერთგული დარჩნენ, დაიკავეს ხიდი მდინარე იანძიზე, ტელეგრაფი, უნივერსიტეტი და ქალაქის სხვა შენობები. მდინარე იანძით უხანის მიმართულებით გაგზავნილია სამხედრო ხომალდები, რომლებიც მზად არიან საარტილერიო ცეცხლი დაუშინონ ცენტრალური ჩინეთის ამ უდიდეს ქალაქს, რომლის მოსახლეობა 2 მილიონზე მეტია.

მაო ძე-დუნმა და მისმა ჯგუფმა ულტიმატუმი წაუყენეს ჩინეთის კომპარტიის ხუბეის პროვინციული კომიტეტის მდივანს ვან ჯენჯუნსა და უხანის სამხედრო ოლქის სარდალს ჩენ ძაი-დაოს. ულტიმატუმში ნათქვამია, რომ ფიზიკურად გაუსწორდებიან, თუ არ დანებდნენ.

ამასთან იაპონიის გაზეთ „სანკეი სიმბუნის" კორესპონდენტი გვატყობინებს, რომ ხუნვეიბინებმა დააპატიმრეს და პეკინში ჩაიყვანეს სამხედრო ოლქის სარდალი ჩენ ძაი-დაო.

როგორც იაპონიის გაზეთები წერენ, მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა შეიარაღებული ბრძოლა უხანის გარდა მიმდინარეობს აგრეთვე ჯეციანის, ხენანის, სიჩუანის, ლიაონინის პროვინციებში. სამხრეთ ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში, სადაც მოიწვიეს მიტინგი, რომლის მონაწილეები მოითხოვდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ლიუ შაო-ცისა და მის მომხრეთა დასჯას, მოხდა ორი მეტოქე დაჯგუფების სისხლისმღვრელი შეტაკებანი, რომელთა შედეგად დახოცეს და დაჭრეს 100-ზე მეტი კაცი.

ამ ქალაქში, აგრეთვე გუანდუნის პროვინციაში სერიოზული მღელვარების გამო შეწყდა რკინიგზის მოძრაობა გუანჯოუსა და ჰონკონგს შორის.

შიგ პეკინში საავიაციო და გეოლოგიური ინსტიტუტების სტუდენტებმა — ხუნვეიბინებმა „გაასამართლეს" ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოფილი თავდაცვის მინისტრი პინ დე-ხუაემი, რომელიც 1959 წელს მოხსნეს პოსტიდან „მაო ძე-დუნის იდეებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის". ამ ცნობილ მხედართმთავარს წაუყენეს ბრალდება, რომ ილაშქრებდა „დიდი ნახტომის" პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც ცნობილია, დამარცხებით დამთავრდა და ჩინეთს მიაყენა უდიდესი ზარალი, მრავალი წლით შეაფერხა მისი ეკონომიური განვითარება.

28 ივლისი. (საკდესი).

## პრობლემები რჩება

ლონდონი, 29 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი პარი კაზენსი იუწყება:

ინგლისელ პარლამენტარებს დაეწყოთ ზაფხულის არდადეგები. პარლამენტის ახლანდელი სესია მეტად დაძაბული იყო, მიღებულია რეკორდული რაოდენობის — 120 ახალი კანონი, ბრძანებულება და დადგენილება. მაგრამ, ამ ინტენსიურმა საქმიანობამ არსებითად, ვერ გადაჭრა ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც დასახულია ქვეყნის წინაშე. ლეიბორისტულმა მთავრობამ ვერ გამოასწორა ინგლისის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. უფრო მეტიც, მის მიერ მიღებულ ღონისძიებებს, კერძოდ, ეგრეთ წოდებულ „კანონს ფასებისა და შემოსავლის შესახებ" მოჰყვა ინგლისის მშრომელთა ცხოვრების დონის გაუარესება და მოდუნება მრეწველობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან დარგებში.

ამ კანონმდებლობის შედეგად, რომლის მიზანია მშრომელთა ხელფასის გაყინვა, უმუშევართა არმიამ ნახევარ მილიონს გადააჭარბა.

უახლოეს მომავალში შეამცირებენ სოციალურ საჭიროებათათვის განკუთვნილ ასიგნებებს.

ამავე დროს მარტო მიმდინარე წელს ინგლისი შეიარაღებისათვის დახარჯავს 2.205 მილიონ გირვანქა სტერლინგს.

ინგლისის მთავრობა ჯერ კიდევ მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ვიეტნამში. მიუხედავად დაპირებისა, რომ ბოლოს მოუღებს სმიტის რეჟიმს როდეზიაში, პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა ამას წინათ განაცხადა, მალე განახლდება მოლაპარაკება რასისტებთანო.

მთავრობის პოლიტიკა სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს ქვეყანაში, და თვით ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ჯგუფშიც.

## ხანძარი ამერიკის ავიამზიდზე

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. (საკდესი). დღეს დილას ამერიკის ავიამზიდ „ფორესტოლზე", რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაპირების ახლოს იმყოფება, ძლიერი ხანძარი გაჩნდა. ხანძრის შედეგად აფეთქდა რაკეტები და ბომბები და ცეცხლი მოედო ანგარის შენობას. „ვითარება ძალიან სერიოზულია, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, —უკანასკნელად მიღებული ცნობით ხანძარი გრძელდება. ზუსტად არ ვიცით, რა მოხდა. მაგრამ ვვარაუდობთ, რომ ხანძარი დაიწყო ავიამზიდის გემბანზე თვითმფრინავის კატასტროფის შედეგად".

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენელმა თავის მხრივ განაცხადა, რომ თუმცა ზუსტი მონაცემები არ არის, მაგრამ ხანძარმა გაანადგურა თვითმფრინავების მნიშვნელოვანი რაოდენობა და მსხვერპლიც როგორც ჩანს დიდია, რადგან გემბანზე ხანძრის დროს იყო ასამდე კაცი.

„ფორესტოლი", რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წყლებში 25 ივლისიდან იმყოფება, ამერიკის შეერთებული შტატების სათვალავით მესამე უდიდესი ავიამზიდია.

## მოკლე ცნობა

ლონდონი, 29 ივლისი. (საკდესი). ინდონეზიამ და დასავლეთმა გერმანიამ დღეს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც დასავლეთი გერმანია ინდონეზიას სესხად აძლევს 62 მილიონ მარკას.

### საერთაშორისო თემაზე

# ბნელეთის მოციქულები

რაც უფრო ახლოვდება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავი, მით უფრო მეტი გაafთრებით უტევენ ახალ სამყაროს იმპერიალიზმის, აგრესიისა და რეაქციის ძალები.

50 წელია რაც ერთი წუთითაც არ ცხრება ძველი, დრომოჭმული სამყაროს ბრძოლა ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი სოციალური წყობის წინააღმდეგ.

გვებრძვიან ყოველგვარი იარაღით, უკლებლივ ყველა საშუალებით, არ ერიდებიან არც პროვოკაციებს, არც სიცრუეს, არც პირმოთნეობას, არც მზაკვრობას. იყო დრო ჩვენი განადგურება უნდოდათ იარაღით, სურდათ საბჭოთა ხალხის ფიზიკური მოსპობა.

ახლა მრავალი მხრიდან გვიტევენ: დასავლეთიდან — იმპერიალისტები და მათი პირდაპირი იდეოლოგიური დამქაშები; მათ ზურგს უმაგრებენ ყოველი ჯურის რევიზიონისტები, სხვადა სხვა ჯურის „მემარცხენე", მოტროცკისტო ავანტიურისტები. ამ ძალებს აღმოსავლეთში ახალი მოკავშირე გაუჩნდა. ანტისაბჭოთა ფერხულში ჩაება წვრილბურჟუაზიული, თეორიულ გზააბნეული მაოს ჯგუფის ხროვა, დიდ და გმირ ჩინელ ხალხს თავზე რომ წამოსჯდომია და სამყაროს უაზრო და უპრინციპო დემაგოგიით აყრუებს.

შხამითა და ჯავრით არის აღვსილი სოციალისტური სამყაროს წინააღმდეგ მომართული იმპერიალისტური პროპაგანდა. ყველაზე ძლიერი შხამია რასიზმის, შოვინიზმის იდეების პროპაგანდა. ბნელეთის ამ უბადრუკ მოციქულებს, რასაკვირველია, სრულიად უსაფუძვლოდ, მიაჩნიათ, რომ ამ შხამიან ანკესზე შეიძლება ვინმე უგუნური წამოეგოს.

სხვა მრავალი მაგალითიდან ყურადღებას იპყრობს ის ბინძური ხრიკი, რომელსაც ახლა მიმართავენ ჩვენი კლასობრივი მტრები. ამას წინათ ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოში თავხედურად და ცინიკურად შენიშნა, საბჭოთა კავშირი ებრაელობის წინააღმდეგ მიმართულმა სიძულვილმა შეიპყროო. თუ საითკენ არის გამიზნული ეს ბინძური ფანდი, გასაგებია.

ასეთი რამ იმპერიალისტების ერთ ამ აგენტს რომ წამოსცდენოდა, არ ღირდა ამ როშვიაათვის ყურადღების მიქცევა. საქმე ის არის, რომ ამ უმაგალითო პროვოკაციულ გამოხდომას სხვებიც მიმართავენ.

მათ სურდათ როგორმე შენიღბონ ისრაელის მილიტარისტების აგრესია და ეს კონფლიქტი ისე წარმოადგინონ, თითქოს იქ ერთმანეთს შეეჯახნენ არაბიზმის, მაჰმადიანობის და იუდაიზმის, იდეები. თითქოს ებრაელები აწარმოებდნენ რაღაც ახალი ყაიდის „საღვთო ომს", და, თურმე ნუ იტყვით, საბჭოთა ხალხი არაბიზმის იდეას მიემხრო და ებრაელობას გამოუცხადა ომი.

ვიმეორებთ, არ ღირდა ამ იდეოლოგიურ დივერსიაზე ყურადღების შეჩერება, რომ გარკვეულ რეაქციულ სიონისტურ ჯგუფებს ეს საზიზღარი პროვოკაცია მსოფლიოსათვის არ მოედოთ. იდეოლოგიური ეს დივერსია ერთ-ერთი ხერხია, რომელსაც ახლა მიმართავს იმპერიალისტური პროპაგანდა. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეაქციულ სიონისტურ მოძრაობას სახსრები არ აკლია, რათა მსოფლიოს მოსდოს ასეთი პროვოკაცია.

ამ შემთხვევაში იდეოლოგიური დივერსანტები, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, სრულიად გაუნათლებელი, ელემენტარულ ისტორიულ ცოდნას მოკლებული პირები აღმოჩნდნენ.

ცნობილია, რომ არაბებიც და ებრაელებიც ერთი სემიტური მოდგმის ხალხები არიან. ისტორია არ იცნობს არაბთა და ებრაელთა სერიოზული ხასიათის იდეოლოგიურ შეჯახებას. მეტიც შეიძლება ითქვას: არაბები და ებრაელები საუკუნეების მანძილზე არამცთუ თანაარსებობდნენ ერთ მიწა-წყალზე, არამედ აქტიურადაც თანამშრომლობდნენ. ეს შეეხება ადამიანის შემოქმედების უკლებლივ ყველა სფეროს. ისიც ცნობილია, რომ კაცობრიობამ არც კი იცოდა არაბთა არსებობა, როდესაც ისრაელი ხალხი განდევნეს პალესტინიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა მოშე დაიანის უწიგნური აპოლოგეტები იროდა არაბად მონათლავენ.

შორეულ წარსულს თავი დავანებოთ და უახლესი ისტორია გავიხსენოთ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პალესტინა, რომელიც მანამდე თურქეთის ნაწილი იყო, დიდმა ბრიტანეთმა იგდო ხელთ და მის მმართველობა მანდატი მიიღო. მაშინ პალესტინაში 700 ათასი მცხოვრები იყო, აქედან მხოლოდ 50 ათასი ებრაელი. 1947 წელს კი იქ 1.237 ათასი არაბი და 608 ათასი ებრაელი ცხოვრობდა. ინგლისი საკუთარი მიზნით ხელს უწყობდა ებრაელთა კოლონიზაციას პალესტინაში.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ არაბები და მშრომელი ებრაელები პალესტინაზე დიდი ბრიტანეთის მანდატის გაუქმებისათვის ერთობლივ ბრძოლას აწარმოებდნენ ინგლისის წინააღმდეგ. პალესტინელი არაბები, არაბთა სახელმწიფოები, ებრაელობის დემოკრატიული ფენები მოითხოვდნენ დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას, სადაც ებრაელებიც და არაბებიც ერთნაირი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებებით ისარგებლებდნენ. ამ იდეას მხარს უჭერდა პალესტინის კომუნისტური პარტიაც. მხოლოდ მემარჯვენე, ექსტრემისტი სიონისტური წრეები, რომლებსაც როგორც დღეს, მაშინაც ასევე აქეზებდნენ ინგლისის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები, მოითხოვდნენ მთელი პალესტინის ებრაულ სახელმწიფოდ გამოცხადებას და იქიდან არაბთა განდევნა-გასახლებას.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად ფართოდ გაიშალა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. ამ მოძრაობამ მოიცვა პალესტინის მოსახლეობაც. ამ საუკუნის ორმოციანი წლების მიწურულს საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა პალესტინაში ისრაელის სახელმწიფოს დაარსების იდეას, მხოლოდ იმ პირობით, რომ იქ ერთობლივ იცხოვრებდნენ არაბებიც და ებრაელებიც. ჩვენი ხალხი, ჩვენი მთავრობა იმ გარემოებასაც ითვალისწინებდნენ, რომ შეიქმნა პირობები ებრაელთა საუკუნეობრივ ოცნების განხორციელებისათვის — შექმნათ თავიანთი სახელმწიფო იმ მიწა-წყალზე, საიდანაც ერთ დროს ისინი განდევნეს, არაბებმა კი არა, სხვა ხალხებმა.

ამრიგად, ისრაელის სახელმწიფოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო იყო. საბჭოთა მთავრობამ ცნო ისრაელის სახელმწიფო დე-ფაქტო და დე-იურე და დაამყარა მასთან მრავალმხრივი კავშირი.

მაშ რა მოხდა შემდეგ? ისრაელის სახელმწიფოს მეთაურებმა, ისეთმა პირებმა, როგორიც არიან ბენ-გურიონი, მოშე დაიანი, გოლდა მაირი და სხვები, ნაცვლად იმისა, რომ გაეთვალისწინებინათ თავიანთი სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია, გეოგრაფიული გარემო, საშინაო პოლიტიკაში აიღეს რეაქციული კურსი, ახლად დაარსებული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცების ნაცვლად ის გადააქციეს იმპერიალისტური ძალების კონტრაჰენტად. ფაქტიურად ისრაელის სახელმწიფო არაბთა პროგრესულ ძალთა წინააღმდეგ მიმართულ პლაცდარმად მოევლინა ახლო აღმოსავლეთს.

1967 წლის ივნისის აგრესია პირველი ხომ არ არის ისრაელის სახელმწიფოს ისტორიაში, რომელიც ძლივს ითვლის ორ ათეულ წელს. ეს მესამე ომია, რომელსაც ისრაელის მილიტარისტები არაბთა ხალხების წინააღმდეგ აწარმოებენ. ამ ომების შედეგად მილიონზე მეტი არაბი განიდევნა პალესტინის მიწიდან, სადაც ისინი 1300 წელზე მეტი ხანია ცხოვრობდნენ.

დღევანდელი ისრაელის მმართველი წრეები ნიანგის ცრემლებს ღვრიდნენ, არაბებს არა სურთ ცნონ ჩვენი სახელმწიფო, პერმანენტული ომი გამოგვიცხადესო. ეს მტკნარი სიცრუეა. ისრაელ-ეგვიპტეს 1949 წლის ხელშეკრულება იმის დამადასტურებელი დოკუმენტია, რომ არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ ცნო ისრაელის სახელმწიფო. ამაზე ხომ კვლავ ოფიციალურად ილაპარაკა პრეზიდენტმა ნასერმა ამა წლის ივნისში ისრაელის აგრესიის წინადღეებში. შეიძლებოდა სხვა მრავალი დოკუმენტის დამოწმებაც. მაგალითად, 1950 წლის 21 ივნისს არაბთა სახელმწიფოების ლიგის განცხადება და სხვა მრავალი.

ამგვარად, ირკვევა, რომ არაბთა და ისრაელის სახელმწიფო კონფლიქტის საფუძველს ეროვნული თუ რასობრივი სარჩული არ უდევს. ისრაელის სახელმწიფო რეაქციის, რეგრესის ბურჯად გადაიქცა, მისი მეზობელი არაბთა სახელმწიფოები, მათ შორის პირველ რიგში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, სირია პროგრესული სოციალური სტრუქტურის მშენებლობას შეუდგნენ. აი ამ გარემოებაში უნდა ვეძებოთ ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების ამხსნელი მიზეზი.

ახლო აღმოსავლეთის დღევანდელი ფაქტები კვლავ ადასტურებენ იმ ურყევ ჭეშმარიტებას, რომ ეროვნული საკითხის თანმიმდევრული გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ პროგრესული სოციალური წყობის, სოციალიზმის გამარჯვების პირობებში. ბურჟუაზიამ გათელა ეროვნული თავისუფლების დროშა. ჭეშმარიტი ეროვნული თავისუფლება, ხალხთა შორის ნამდვილი თანაარსებობა და მეგობრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დამყარდება, თუ ერის ინტერესს იცავს მუშათა კლასი, მშრომელთა მასები.

ჩვენი პარტია, ჩვენი სახელმწიფო მხარს უჭერს პროგრესის, თავისუფლების, დემოკრატიის ძალებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სახელმწიფოში, დედამიწის რომელ კუთხეში, რომელი ხალხი ატარებს ამ დიადი იდეალების დროშას.

ბნელეთისმოციქულთა მორიგი იდეოლოგიური დივერსია ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ისევე მარცხით დამთავრდება, როგორც წინათაც არაერთხელ დამარცხებულა.

ვლ. მაჭავარიანი.





## ფოტოკალეიდოსკოპი



პოლონეთი. დიდი ხმაურია საღამოობით პინინუს კულტურის სასოფლო სახლის კაფეში. ნიძიცის ძველებური ციხე-დარბაზის გოტიკურ თაღებს ქვეშ ახალგაზრდობა საარსებო საკითხებს წყვეტს და მხიარულობს.

ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლის ანდრიან პელტის სანაპიროზე აგებულია უჩვეულო სახის მინარეთი, რომელიც თავისი კონტურებით რაკეტას მოგვაგონებს.

უნგრეთი. თანამედროვე საცხოვრებელ შენობათა მთელი პატარა ქალაქი შეიძლება აშენდეს ხელოვნური მასალისაგან გაკეთებული მსუბუქი ასაწყობი დეტალების გამოყენებით. პატარა ბიჭუნა ინტერესით ათვალიერებს სათამაშოების გამოფენას ბუდაპეშტში.

ინგლისი. იალქნიანი ხომალდის ეს მოდელი გაკეთებულია... ასანთისაგან. სამხედრო მოსამსახურე დ. უიქსს 24 ათასამდე ასანთი და 600 საათი დრო დასჭირდა, რომ „აეშენებინა" მოდელი.

საკდესის ფოტოქრონიკა.



კომუნისტი

მე-3 გვერდი, კვირა, 30 ივლისი, 1967 წ.

# ჩვენს მხარე-მხარეში

გაზეთ „კომუნისტის“ და სხვა სამხარეო კორესპონდენტები

## ედინბურგის მერი თბილისში

გუშინ, 29 ივლისს თბილისში ჩამოვიდა ქალაქ ედინბურგის ლორდ-პროვოსტი (მერი) [illegible] მეუღლითურთ. [illegible] (საქდესი).

## საიუბილეოდ

**საბჭოთა** კავშირის ფარგლებს გასცდა ყვარლელ მეღვინეთა ნახელავი — „ქინძმარაული“, „ყვარელი“, „გრემი“, „ენისელი“.

ქარხანათა სამმართველოს მუშაკები, რომლებიც ჩაბმული არიან დიდი თარიღის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. ყოველდღიურად ღვინის ქარხნებიდან მიედინებიან № 5, 8, 15, 23 და „ყვარლის“ სამარკო ღვინოების მასალით დატვირთული ავტოცისტერნები.

მიმდინარე წლის ექვს თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით.

გეგმით გათვალისწინებული 2.567.000 მანეთის ნაცვლად გამოშვებული და რეალიზებულია 2.985.000 მანეთის პროდუქცია.

**გ. გურასპიშვილი.**

## ძვირფასი სტუმრები

**წულუკიძე.** (საკ. კორ.). ამ დღეებში წულუკიძელებს ძვირფასი სტუმრები ეწვივნენ. სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა სწავლებისა და მომზადების საქმის გასაცნობად აქ ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც კუბის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სოფლის მეურნეობის სპეციალობათა სწავლების სამმართველოს უფროსი არმანდო დურანი მეთაურობდა.

სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ სათაფლიაში.

## ნაირ-ნაირი

[illegible] კონსტრუქციის შემდეგ ამუშავდა ლუდის ქარხანა, რომელიც საიუბილეო წლის ბოლომდე გამოუშვებს 35 ათას დეკალიტრ ლუდს. ქარხნის წლიური წარმადობა იქნება 60-70 ათასი დეკალიტრი. იგი ახალციხის გარდა მოემსახურება ასპინძისა და ადიგენის რაიონებსაც.

**ხონი.** კარგი საჩუქარი მიიღეს საჯიჯაოელმა მშრომელებმა. სოფლის ცენტრში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი ორსართულიანი კაპიტალური შენობა. მასში მოთავსებული იქნება საფოსტო განყოფილება, სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა. **(რ. ქაჯაია).**

**აბაშა.** (საკ. კორ.). ტურისტთა აქტივის კრებაზე შეიქმნა აბაშის რაიონის ტურისტული კლუბი. არჩეულია კლუბის გამგეობა და სარევიზიო კომისია. ტურისტული კლუბის გამგედ აქტივის კრებამ აირჩია ქალაქის პირველი საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ვლ. ჩხაიძე.

კლუბი კოორდინაციას გაუწევს რაიონში მასობრივ-საექსკურსიო მუშაობას.

## მონადირეთა მამაცობა

**ზუბნელ** კოლმეურნეებს მიტროფანე კუნჭულიას, ჭუმბერ ჭელიძეს, ვალერიან კუნჭულიას, დემურ წიქორიძეს და სხვებს მამაც მონადირეებად იცნობენ მაიაკოვსკის რაიონში.

...ნაწვიმარი დღე იყო. მთები ბურუსს დაეფარა. დათვს უშობელი გაეფატრა. მონადირეები კვალს დაედევნენ, ბუნაგს მიაგნეს და ჩაუსაფრდნენ. ვეება დათვი პირისპირ დაიძრა მიტროფანე კუნჭულიასაკენ. გამოცდილი მონადირე არ დაიბნა, ორი ტყვია მკერდში დაახალა. ნადირი ღრიალით თავქვე დაეშვა, მაგრამ სიკვდილს ვერ გადაურჩა.

**მ. ჭელიძე,**
მაიაკოვსკის რაიონის სოფელი ფერსათი.

## საქართველოს დღეები აზერბაიჯანში

## მეგობრობის ნადნობი

**სუმგაითი, 29 ივლისი.** ([illegible]). მეგობრობის მარშრუტმა მოიყვანა საქართველოს მშრომელთა წარმომადგენელთა დელეგაცია ჩამოიყვანა აზერბაიჯანის ახალგაზრდა ინდუსტრიულ ცენტრში — სუმგაითში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე დიმიტრი ბარათაშვილი აქ უკვე ორჯერ იყო, რადგან საქართველოსა და აზერბაიჯანის ორი მეტალურგიული გიგანტის კოლექტივებმა შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ამიტომ საკვირველი როდია, რომ დიმიტრი მოუთმენლად ელოდა სუმგაითელ მეგობრებთან შეხვედრას.

საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლების სტუმრობა ქარხანაში აღინიშნა მეგობრობის ნადნობის გამოშვებით. ღუმელთან იდგნენ აზერბაიჯანელი იური ხიახმედოვი და ქართველი დიმიტრი ბარათაშვილი. ნადნობი მართლაც რომ კარგი გამოვიდა: ჩქაროსნული, სრული! როცა ლითონს ყალიბებში ასხამდნენ, მეგობრებმა აღტაცებით შესძახეს: „ჩინებული ფოლადია!“, ხოლო ბარათაშვილმა დასძინა: „ყოჩაღ, სუფთად ასხამთ ლითონს. წვეთსაც არ კარგავთ!“

დიდხანს გაგრძელდა მეტალურგთა საუბარი. დ. ბარათაშვილმა ილაპარაკა, რომ რუსთავში კარგად შრომობს ყოფილი სუმგაითელი ალიკ ალიგულიევი. იგი ყოჩაღი ბიჭია. მისგან კარგი მეფოლადე გამოვა!

მოძმე რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები მიიღო სუმგაითის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ კ. რ. ახუნდოვმა. მან სტუმრებს გააცნო კასპიის ზღვის კომსომოლსკის შექმნის ისტორია, ილაპარაკა ქალაქის შესანიშნავ აწმყოსა და მომავალზე. სტუმრებმა დაათვალიერეს სუმგაითი, ახალი საცხოვრებელი მასივები, მეხტი ჰუსეინზადეს სახელობის სტადიონი.

— გულწრფელად გვახარებს სუმგაითელთა წარმატებანი, — თქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ლელაშვილმა. — აღგვაფრთოვანებს ქიმიური კომბინატი, რომელიც სსრ კავშირის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. აქ ბევრი სასარგებლო რამ ვნახეთ და შევიტყვეთ, რაც უსათუოდ დიდ სარგებლობას მოგვიტანს.

## დიდი ქიმია გამოფენაზე

**რუსთავი.** (საკ. კორ.). სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო ტექნიკურმა ბიბლიოთეკამ საქართველოს სამეცნიერო ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტთან და ხელოვნური ბოჭკოს ქარხანასთან ერთად მოაწყო საინტერესო გამოფენა დიდი ქიმიის საკითხებზე.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 600 დასახელების ჟურნალი, კატალოგი, წიგნი რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და იაპონურ ენებზე. გამოფენაზე მოსული ქიმიკოსები ინტერესით გაეცნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიის მიღწევებს ქიმიის დარგში.

გამოფენას კონსულტაციას უწევდა სსრ კავშირის სახელმწიფო საჯარო სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკის სამრეწველო კატალოგების უფროსი რედაქტორი პ. ორლოვი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

მართალია ჯერჯერობით დედაქალაქის მშრომელებს მთელი ძალით არ უგრძვნიათ ჩვეული თბილისური ზაფხულის მცხუნვარება, მაგრამ ივლისი მაინც ივლისია და „თბილისის ზღვაზე“ ნავით გასეირნება მაინც სასიამოვნოა. აქ შეგიძლიათ ხალისიანად გაატაროთ დასვენების დღე და ჯანმრთელობაც გაიკაჟოთ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ისვენებენ სოფლის მშრომელები

**თელავი.** (საკ. კორ.). მშრომელთა ჯანმრთელობა სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის თელავის რაიკომის (თავმჯდომარე ხ. ბოხაშვილი) მუდმივი ზრუნვის საგანია. მარტო საიუბილეო წლის პირველ ნახევარში სანატორიუმებსა და ბავშვთა სამკურნალო-დასასვენებელ დაწესებულებებში იმკურნალა 115-მა სოფლის მშრომელმა, აგრეთვე მათი ოჯახების წევრებმა. დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული მოგზაურობის საგზურებით 120-მა კოლმეურნემ და საბჭოთა მეურნეობის მუშამ ისარგებლა. ამჟამად ადგილობრივ კურორტებზე — თეთრწყლებში, თორღვას აბანოზე, შაქრიანში და სხვ. სოფლის მშრომელთა 200-ზე მეტი ოჯახი ისვენებს.

## სპარტაკიადის დღეები

## ლიდერები, ჩემპიონები...

**ასეთი** მრავალმხრივი და უჩვეულო ბრძოლით აღსავსე სპარტაკიადა მოსკოველებს ჯერ არ ახსოვთ. საქმე ის როდია, რომ სპორტსმენთა ამ ფორუმის ასპარეზობათა პროგრამა გაშლილია და შეხვედრებიც გაცილებით მასობრივია, არამედ ის, რომ შედეგები მართლაც საამაყოა, როგორც იტყვიან, რეკორდების ნამდვილი წვიმაა. შორს ნუ წავალთ, ვისაუბროთ თუნდაც სპარტაკიადის დედოფალზე — მძლეოსნობაზე, რომელმაც ეს-ეს არის აიღო სტარტი.

მილიონობით ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს, თუ რა ხდებოდა სპარტაკიადის გახსნის დღეს ლუჟნიკის ბილიკებზე, ვინ გაიმარჯვა, ან როგორ, რამდენი რეკორდი დაამყარეს და სხვ. მაგრამ ფინალში რომ მოხვედრილიყვნენ, ამ სპორტსმენებს წინასწარი შეხვედრები ჰქონდათ 28 ივლისს დილით. სწორედ აქ დამყარებულ იქნა რესპუბლიკების 18 რეკორდი. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ დიდ წარმატებას, რომელიც საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს ამ შეჯიბრებაზე. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს ჩვენმა ვაჟებმა 4X400 მეტრზე რბენაში. მათ ვერცხლის მედლები მოგვიტანეს და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარეს. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ უკან ჩამოიტოვეს ისეთი საერთოდ აღიარებული კოლექტივი, როგორიც მოსკოვის გუნდია. ამ ბრძოლის გმირი იყო ტ. ბახტაძე, რომელმაც მეტად ძლიერად გაირბინა თავისი დისტანცია. აი ესტაფეტებში გამარჯვებულები: ქალებში — მოსკოვისა (4X100 მეტრი) და რსფსრ-ის (4X200 მეტრი) გუნდები; ვაჟებში — მოსკოვისა (4X100 მეტრი) და ლენინგრადის (4X400 მეტრი) გუნდები.

ფიცარნაგზე ბრძოლას განაგრძობენ შტანგისტები. ქვემსუბუქ წონაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი დ. შანიძე ვერ მოხვდა პრიზიორთა სამეულში.

დღის პირველ ნახევარში ცნობილი გახდა ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში ქვემსუბუქი წონის მოჭიდავეთა შორის. ეს ტიტული მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ო. ეგაძემ. ამავე დღეს საქართველოს წყალბურთელებმა დაამარცხეს ტაჯიკეთის გუნდი — 15:1, აზერბაიჯანელებმა — თურქმენეთის გუნდი— 6:2, სომხეთისა და ლიტვის გუნდების მატჩის შედეგია 3:3. დღეს გრძელდებოდა გუნდური შეჯიბრება რაპირისტთა შორის. საქართველოსა და სომხეთის გუნდების შეხვედრის შედეგია 9:4.

გვიან ღამით დამთავრდა შეჯიბრება სპრინტსა და კლასიკური ჭიდაობის სხვა წონით კატეგორიებში. ჩვენს გუნდს კიდევ ორი ოქროს მედალი შესძინეს ო. ფხაკაძემ და რ. რურუამ. საშუალო წონის მოჭიდავემ ო. ბლიაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

**ვ. გაგელია,**
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
მოსკოვი, 29 ივლისი.



ო. ფხაკაძე.



რ. რურუა.



ო. ეგაძე.

### ქულები...

მდგომარეობა 29 ივლისისათვის

| | |
|---|---|
| 1. მოსკოვი | 525 ქულა |
| 2. რსფსრ | 499,5 |
| 3. უკრაინა | 487,5 |
| 4. ლენინგრადი | 393,5 |
| 5. საქართველო | 353,5 |
| 6. ბელორუსია | 352,5 |
| 7. ყაზახეთი | 344 |
| 8. ლიტვა | 315 |
| 9. ლატვია | 310,5 |
| 10. უზბეკეთი | 301 |
| 11. ესტონეთი | 275,5 |
| 12. აზერბაიჯანი | 270,5 |
| 13. სომხეთი | 221 |
| 14. ყირგიზეთი | 178 |
| 15. მოლდავეთი | 163 |
| 16. თურქმენეთი | 120 |
| 17. ტაჯიკეთი | 111 |

## მატჩები და შედეგები

◆ **ვ. ი. ლენინის** სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გუშინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა და კიევის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი მიმდინარეობდა ჩემპიონის უპირატესობით. თამაშის ოცდამეჩვიდმეტე წუთზე შჩეგოლიკოვმა შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა არმიელთა კარში და მეკარე კუდაშოვი იძულებული გახდა, ბურთი კარიდან გამოეტანა. სტუმრებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. არმიელმა ფედოტოვმა საპასუხო ბურთი ბანიკოვის კარში გაიტანა და საბოლოოდ გუნდებმა გათამაშების ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს.

◆ **თბილისში** „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თბილისის „ლოკომოტივი“ ეთამაშა ტყიბულის „მეშახტეს“. მატჩის პირველ ნახევარში ტყიბულელმა ჩხარტიშვილმა მასპინძელთა კარში გაიტანა ბურთი.

მეორე ტაიმში თბილისელმა მაზიაშვილმა აღადგინა წონასწორობა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

## ვროცლავის მატჩის შემდეგ

**საბჭოთა** კავშირისა და პოლონეთის ნაკრები გუნდების ვროცლავში გამართული მატჩის შემდეგ პოლონეთის პრესამ თამაშს ასეთი შეფასება მისცა:

„თამაში მიმდინარეობდა ძლიერ სიცხეში, რამაც გავლენა მოახდინა ფეხბურთელებზე. მაგრამ მატჩი მაინც საკმაოდ საინტერესო გამოდგა“.

მწვრთნელებმა კი შემდეგი განაცხადეს:

**მატიასი** (პოლონეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი): „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს გუნდს გამძლეობა არ ეყო, ამ შეხვედრას მაინც გამოუყენებელ შესაძლებლობათა მატჩი უნდა ეწოდოს“.

**მ. იაკუშინი** (სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი): „გავიმარჯვეთ, მაგრამ ჩვენი გუნდისათვის ეს იყო ერთ-ერთი უძნელესი თამაში. არა მარტო მოწინააღმდეგე იყო საშიში, არამედ თაკარა სიცხემაც შებორკა ფეხბურთელთა მოქმედება“.

## მორალის თემაზე

# სიხარულის სინანული

**მ**იაკუთვნეთ ეს წერილი რომელიც გნებავთ საგაზეთო ჟანრს, მაგრამ ნუ დაარქმევთ მას რეპორტაჟს სასამართლოს დარბაზიდან. თუმცა იგი სისხლის სამართლის ერთ მძიმე საქმეს ეხება და სწორედ სასამართლო პროცესზე მიღებული უშუალო შთაბეჭდილებებით არის დაწერილი.

რეპორტაჟი მაინც არ არის. ჩვენ მოგითხრობთ არა იმაზე, რაც სისხლის სამართლის ოცტომიან საქმეში დაწვრილებით არის აღწერილი და აღნუსხული; არა იმაზე, რაც სასამართლო პროცესზე ერთხელ კიდევ საბოლოოდ შეჯერდა, დამტკიცდა და დადასტურდა. არამედ იმაზე, რაც იქ არ თქმულა, მაგრამ რაზეც ალბათ ყველა ფიქრობდა: ბრალდებულიც, მოსამართლეც, მსაჯულიც და დამსწრე საზოგადოებაც.

ასამართლებდნენ ლევან სოსიას-ძე არჩიანიძეს, ერთ-ერთი საწარმოს მთავარ ეკონომისტს, სამოც წელს მიღწეულ კაცს, ცოლშვილიანს, — სამი შვილის მამას და ორჯერ მეტი შვილიშვილის ბაბუას.

მკითხველს თავს არ შევაწყენთ იმ თაღლითობის, ყალბისმქნელობის და სხვა ბოროტმოქმედებათა აღწერით, რასაც იგი მთელი ათი წლის განმავლობაში ეწეოდა. მხოლოდ ვიტყვით, რომ მას ბრალად ედება სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება და საბრალმდებლო დასკვნაში შეფარდებული აქვს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96[1] მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრეტას.

დანაშაული დანაშაულია, მაგრამ ხომ არ შეიძლება გულგრილად უყურო კაცს, რომელსაც სიკვდილი მოელის და ეს უნდა აღსრულდეს კანონის სახელით! როგორ გინდა თვალი გაუსწორო ადამიანს, რომელმაც თვითონაც იცის, რომ სიკვდილს მიუსჯიან!

ადრე არ ვიცნობდი და არ ვიცი როგორ გამოიყურებოდა იგი დაპატიმრებამდე, ახლა კი არაფრით არა ჰგავს ბოროტმოქმედს. ერთი უმწეო, ხანში შესული კაცია, კეთილი და ნაღვლიანი თვალებით და ბავშვურად გულუბრყვილო გამომეტყველებით. ისე უბრალოდ, უყოყმანოდ, თითქმის დაუფიქრებლად უპასუხებს მოსამართლის ყოველ შეკითხვას, შეუძლებელია ეჭვი შეგეპაროს მის გულწრფელობაში. და მართლაც იმ დღიდან მოკიდებული, როცა ის „ჩავარდა“ და დააპატიმრეს, ერთხელაც არ ცდილა გზა-კვალი აერია გამოძიებისათვის.

როდის გახდა იგი ასეთი? ვინ დაიჯერებს — კაცი, რომელიც მთელი ათი წლის განმავლობაში ქურდობით ცხოვრობდა და მდიდრდებოდა, ატყუებდა სახელმწიფოს, ამხანაგებს, როგორ შეიძლება ისეთივე ყოფილიყო, როგორიც ახლა ჩანს?

რამ გამოცვალა? იქნებ შიშმა და საფრთხემ.

მაგრამ საფრთხის დროს თავდაცვის მიზნით ადამიანები ხომ უწინარეს ყოვლისა სწორედ იმ იარაღს იყენებენ, რომელიც მათ ყველაზე მეტად ემარჯვებათ.

მერე ბოროტმოქმედისათვის გულწრფელობა რა თავდაცვის იარაღია!

და რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ ეს, ამ კაცს რომ უყურებთ და ყოველივე ამაზე ფიქრობთ, უნებურად იმ დასკვნამდე მიდიხართ, რომ ბუნებით არ არის იგი მატყუარა, ქურდი და ბოროტმოქმედი.

ბრალდებულის წარსულს რომ ეცნობით, კიდევ უფრო განგიმტკიცდებათ ეს აზრი; გულის კარნახით არ დასდგომია იგი ბოროტმოქმედების გზას, გული მას წმინდა შერჩა, უფრო ხასიათის სისუსტე და უნებისყოფობა გამოსჭვივის მის მოქმედებაში.

მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი იყოს ყველაფერი და ზერელედ და ნაჩქარევად არ მოეჩვენოს ჩვენი დასკვნები, მოკლედ გაგაცნობთ ლ. არჩიანიძის ცხოვრების გზას.

დაბადებულია იგი 1908 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა პირველ მსოფლიო ომში დაეკარგათ და სიმწრით გამოზარდა დედამ უმამოდ დარჩენილი ოთხი შვილი. და-ძმებში ყველაზე უფროსი ლევანი იყო და ბავშვობიდანვე შეეჩვია იგი მძიმე შრომას და სხვებზე მზრუნველობას. ადრე დაქვრივებულმა დედამ მთელი სიცოცხლე შვილებს შესწირა და კარგადაც ჯამოზარდა: ოთხივეს უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრებინა და თავ-თავის გზაზე დააყენა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლ. არჩიანიძემ თბილისში დაიწყო მუშაობა, დაოჯახდა და საბოლოოდ დამკვიდრდა კიდეც დედაქალაქში.

მუშაობდა და ცხოვრობდა მშვიდად და უბრალოდ. სიღარიბესა და გაჭირვებაში გამოზრდილს ცხოვრებისადმი დიდი მოთხოვნები არასოდეს არ წაუყენებია. ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ხასიათის ეს თვისება დიდხანს იყო მისი ოჯახის ბედნიერებისა და სიმშვიდის საფუძველი.

მერე, როცა სხვების გავლენით თავის ბუნებას უღალატა და ცხოვრების ეს წესი დაარღვია, სიმშვიდე და მოსვენება დაკარგა, და ბედნიერებაც დაირღვა.

ეს მოხდა ამ ათი წლის წინათ. მაშინ ის უკვე საკმაოდ გამოცდილი და ცხოვრებაში ჩახედული კაცი იყო. შვილები წამოიზარდნენ და საკუთარი მოთხოვნილებები გაუჩნდათ. მამის გასაგონად ბუზღუნებდნენ და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, გაზაფხული მოდის და ახალი კოსტიუმი, ახალი კაბა, ახალი ფეხსაცმელი არა გვაქვსო... შვილებს დედა გამოექომაგა და მანაც დაიწყო წუწუნი და საყვედურები ქმრის მისამართით: „მართლაც და მართლაც რა არის, გასათხოვარი ქალია და ერთი წესიერი კაბა არა აქვს“, „ამოდენა ვაჟკაცს ერთი ორი კოსტიუმი არ უნდა ჰქონდეს გამოსაცვლელი?. რა ვიცი, ზოგს ათჯერ ნაკლები თანამდებობა უჭირავს და ჩვენზე უკეთ ცხოვრობსო“.

კაცმა ვერ გაუძლო ასეთ შემოტევას და მათ დასაშოშმინებლად ერთხელ სალაროდან ორი ათასი მანეთი ისესხა. (ახლანდელი კურსით ორასი მანეთი), მალე ამას სამასი მიუმატა, მერე კიდევ ხუთასი მანეთი ისესხა სალაროდან. ბარემ ყველას ერთად გავისტუმრებო, გადაწყვიტა.

ეს იყო პირველი დიდი სიცრუე, რომელიც მან წარმოთქვა და ეს სხვებზე ადრე თავის თავს ჰკადრა. თავს იტყუებდა, თორემ კარგად იცოდა, ვალის გასტუმრების სახსარი არსაიდან არ ჰქონდა.

არა და, სამეურნეო წელი იწურებოდა. ბევრი უძილო ღამე გაატარა ლევან არჩიანიძემ იმ ხანებში. სად უნდა ეშოვნა ათასი მანეთი? ბოლოს ბუხჰალტერს შეუთანხმდა და „ოჯახის დასაშოშმინებლად“ აღებული ვალი დროებით გასავალში გაატარა.

ამ „ოპერაციამ“ ისე მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ ჩაიარა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა კვლავ აბუზღუნდნენ ბავშვები და აწუწუნდა ცოლი, ლევანმა უყოყმანოდ „ისესხა“ სახელმწიფოსაგან ორი ათასი მანეთი და ბუხჰალტერთან შეთანხმებით იმავე წესით „დაფარა“ ვალი.

— სანამ არ წამოგაგეთ შამფურზე, მანამ არ გაანძრიე ხელი. ხომ შეგძლებია ფულის შოვნა! — ტკბილად უსაყვედურებდა ცოლი და ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებდა: ამ ზაფხულს ქალაქგარეთ საკუთარი აგარაკი უნდა გვქონდეს აუცილებლად... ის გოგო რომ გავათხოვეთ, პატრონობა უნდა, სიძეს, ხომ იცი, მანქანას დავპირდი, და სიტყვა არ გამატეხინო, იცოდე...

იზრდებოდა მადა, დიდდებოდა ხარჯები. ხელგაშლილად ცხოვრებენო, რომ დაინახეს, არჩიანიძეების ოჯახში სიარულს მოუხშირეს ნათესავებმა და ახლობლებმა — დებმა და ძმებმა, ცოლისდებმა და ცოლისძმებმა, დისშვილებმა და ძმისშვილებმა, ცოლისძმისშვილებმა და ცოლისდისშვილებმა, მამიდაშვილებმა და დეიდაშვილებმა... ზოგს ფული სჭირდებოდა სესხად, ზოგი დაპირებულ საჩუქარს ელოდა...

იმატა ხარჯმა, მაგრამ ბუხჰალტერი სიმონ ქარჩავა (ახლა ისიც ლ. არჩიანიძის გვერდით ზის საბრალდებულო სკამზე) მოხერხებული კაცი აღმოჩნდა და სახელმწიფო თანხების დატაცების ახალი ხერხები და მეთოდები მოიგონა.

გადიოდა დრო, მშვიდად, ლაღად და არხეინად გრძნობდნენ თავს ლევან არჩიანიძის ნათესავები. მარტო ლევანს არ ეძინა მშვიდად: არა, არ უნდა გაბრიყვებულიყო, ასეთი საქმე ბოლომდე არ დაიმალება...

გამართლდა მისი წინაგრძნობა. ერთ მშვენიერ დღეს ნათელი მოეფინა ყველაფერს. დასხდნენ რევიზორები და იანგარიშეს, რომ ლ. არჩიანიძის მიერ „ცოლ-შვილისა და ნათესავების დასაშოშმინებლად აღებული ვალი“ სულ 127.552 მანეთს შეადგენდა.

და აი ზის ახლა იგი საბრალმდებლო სკამზე ფარხმალდაყრილი, მიწასთან გასწორებული, განადგურებული და სიკვდილის განაჩენს ელოდება.

იცის: ეს მან დაიმსახურა. თუმცა ისიც ნათელია, რომ მას ერთს არ სჭირდებოდა ამდენი ფული და არც შეეძლო გაეფლანგა, რადგან ბუნებით არ იყო ასეთი, პირადი ცხოვრება არცა ჰქონია: სხვებისათვის ცხოვრობდა — შვილებისათვის, ნათესავებისათვის. ის იტაცებდა სახელმწიფო ქონებას, სხვები ჭამდნენ. ახლა კი მარტო მან ერთმა უნდა აგოს პასუხი, ისიც საკუთარი სიცოცხლით.

ხოლო ისინი, რომლებიც ასე მადიანად შეექცეოდნენ ნაქურდალს, ბრალდებულისადმი თანაგრძნობასა და პატივისცემას იმით გამოხატავენ, რომ სასამართლოს სხდომებს აკურატულად ესწრებიან და საკუთარი ყურით ისმენენ, თურმე რა ულმობლად უსწორდება კანონი დამნაშავეს. თვითონ კი, ცხადია, თავს დამნაშავედ არა გრძნობენ და კანონიც მათ ბრალს ვერ დადებს: საკუთარი მოქმედებისათვის ყველა თვითონვე აგებს პასუხს.

მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის გარდა ხომ არსებობს სხვა კანონებიც, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობას აწესრიგებენ, სილამაზეს, აზრსა და შინაარსს ანიჭებენ მას. კანონთა ერთ-ერთ ასეთ კოდექსს პატიოსნება და სინდის-ნამუსი ჰქვია.

ნუთუ ერთხელაც არ ჩაიხედეს ამ კოდექსში ლ. არჩიანიძის ცოლმა, შვილებმა და სხვა ახლობლებმა, როცა მას დანაშაულისაკენ უბიძგებდნენ?

ძვირფას საზღვარგარეთულ ავეჯთან ერთად მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“ რომ მიიღეს საჩუქრად, ნუთუ ერთხელაც არ დაებადათ კითხვა სიძესა და ქალიშვილს — საიდან ჰქონდა ამდენი ფული მამას? რატომ ერთხელაც არ დაფიქრდა მამის ბედზე ვაჟიშვილი ამირანი, როცა ის, ჯერ კიდევ სტუდენტი, უანგარიშოდ ხარჯავდა ფულს მოგზაურობებსა და დროსტარებაში, ან რა მოსაზრებით გაიფორმა თავის სახელზე კერძო ორსართულიანი ეზოიანი სახლი თბილისში და აგარაკი დედაქალაქის ახლოს. წინდახედული შვილის ამ მოქმედებაში ხომ იმთავითვე იგულისხმებოდა: „თუ ვინიცობაა მამა ჩავარდა...“

ან საჩუქრებზე თვალდაცეცებული ნათესავები რატომ დუმდნენ, როცა ახლობლის ასეთ ხელგაშლილობას ხედავდნენ და ისიც იცოდნენ, რომ მისი ხელფასი 180 მანეთს არ აღემატებოდა. ეს იყო და ეს ოჯახის მთელი შემოსავალი. ახლა ისინი სხედან და ბრალდებულის დასანახავად გულაჩვილებულნი იწირპლებიან. არავის არ სჭირდება მათი ეს ცრემლები და ასეთი თანაგრძნობა! ამისათვის მათ დროც ჰქონდათ და საშუალებაც. ახლა ყველაფერი ამაოა, ცრემლებიც და სინანულით თავში ცემაც.

მამის გულის მოსაგებად მისი ორი წლის შვილიშვილიც კი მოუყვანიათ სასამართლოს სხდომათა დარბაზში. „აი, ბაბუა, ბაბუა, შეხედე“, — ჩასჩურჩულებენ მას და ხელით ბრალდებულისაკენ ანიშნებენ. ამ სურათს რომ შეჰყურებ, ძარღვებში სისხლი გეყინება და აღშფოთებისაგან გინდა იყვირო: იმის ნაცვლად, რომ ბავშვს პაპის ალერსი დაამახსოვრდეს, პატარას აიძულებენ საბრალმდებლო სკამზე მჯდომი დაიმახსოვროს იგი...

ეს ამბავი მუდამ ჩრდილივით გაჰყვება მის ცხოვრებას, და ვის შეუძლია ჩვენი გრძნობები ფულზე გადაიანგარიშოს და შეაფასოს რამდენი მილიონი მანეთი იქნებოდა საჭირო ამ ჩრდილის, ამ ლაქის წასაშლელად?

ალბათ ასე ფიქრობდა ყველა, ვინც ამ სასამართლო პროცესს ესწრებოდა, მაგრამ დანაშაული დანაშაულია და კანონი მკაცრად სჯის იმას, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული: ლევან სოსიას-ძე არჩიანიძეს სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს.

შვილებმა განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრეს და იმედი აქვთ სიკვდილით დასჯას 15 წლით თავისუფლების აღკვეთით შეაცვლევინებენ.

და თუნდაც ასე მოხდეს, ნუთუ ამით შეუძლიათ დაიმშვიდონ სინდისი? ეს მკაცრი განაჩენი ხომ მათ გამოუტანეს?!

**მ. მიქაძე.**

## უცხოური იუმორი

## ხალისიანი დიალოგები

◆ **შენ მხოლოდ შენი ფეხბურთით ცხოვრობ!** დარწმუნებული ვარ — ჩვენი ქორწინების დღეც კი არ გახსოვს.

— ო, ეს დღე ჩინებულად მახსოვს. სწორედ მაშინ შვეციამ დანიას მოუგო ანგარიშით 3:1.

◆ **თქვენი** მოთხრობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნიჭი გაქვთ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა იკითხოთ, ბევრი იკითხოთ...

— თქვენი აზრით, ეს ნამდვილად მჭირდება?

— დარწმუნებული ვარ! რაც მეტს იკითხავთ, უფრო ნაკლები დრო დაგრჩებათ... წერისათვის...

◆ **ვერაფერს** ვიტყვი, ოთახი, ვფიქრობ, ცუდი არ უნდა იყოს, მხოლოდ... მეზობლები ალბათ ყველაფერს ისმენენ, რასაც აქ ვლაპარაკობთ?

— ეს კარი შეიძლება ამოვქოლოთ ან სქელი ხალიჩა ჩამოვაფაროთ.

— ო, არა, მაშინ ვერ მოვისმენთ იმას, რასაც მეზობლები ილაპარაკებენ.

◆ **ქალს,** რომელიც საოჯახო სამუშაოს ქირით ასრულებს, შინამოსამსახურეს ვეძახით.

ქალს კი, რომელიც იმავე სამუშაოს უფასოდ ასრულებს, — ცოლს.

◆ **ალო!** ეს 3-48-79-ია?

— თქვენ შეცდით, ქალბატონო, მე არა მაქვს ტელეფონი.

◆ **ჩემს** მეგობარს გასაოცარი მეხსიერება აქვს — ყოველთვის ახსოვს ის, რაც უნდა დაივიწყოს.

◆ **ახალგაზრდა** ვაჟმა სატრფოს ყვავილების თაიგული გაუგზავნა. თაიგულში ჩადებულ წერილში ნათქვამი იყო:

— სულით და გულით და თითქმის მთელი ჩემი ხელფასით.

## ტელევიზია

## ნახავთ, მოისმენთ

**30 ივლისი**

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.15 — პატარებისათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 10.45 — პატაკი „ავრორას“ — გადაცემა, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი (გადაცემა მოსკოვიდან ინტერვიზიისათვის), 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის— „საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე“, 17.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ მიმოხილვა, 18.20 — კინონარკვევი „ადამიანი და ვულკანი“ (ქართულ ენაზე), 18.50 — სატელევიზიო მიმოხილვა „მუსიკის სამყაროში“, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — ლიტერატურული გადაცემა — რაჟდენ გვეტაძე, 20.40 — კინონარკვევი, 20.50 — საესტრადო-სატელევიზიო ალმანახი „სალაღობო“, 21.30 — „კინოპანორამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — სატელევიზიო მინიატიურების თეატრი (გადმოცემა სვერდლოვსკიდან), 23.20 — გადაცემათა პროგრამა 31 ივლისისათვის, 23.30 — ახალგაზრდობის დასკვნითი შეკრება (გადმოცემა ლენინგრადიდან).

**31 ივლისი**

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00—ბავშვებისათვის— „ვიმოგზაუროთ დედამიწის გარშემო“ მოგზაურობა საფრანგეთში, 19.00 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.20 — განცხადებები, 19.25 — კინონარკვევი, 20.00 — სატელევიზიო იუმორისტული ჟურნალი „ოქროპირი“, 20.45 — კინონარკვევი „ჩვენთან“ მოსფილმში“ (ქართულ ენაზე), 21.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.40 — ფილმი-სპექტაკლი „მგლები და ცხვრები“ (I სერია), 23.05 — გადაცემათა პროგრამა 1 აგვისტოსათვის, 23.10 — „მსოფლიო ივლისში“ საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.40 — ეთერშია „ახალგაზრდობა“. ოქტომბერი და ახალგაზრდობა (გადმოცემა ლენინგრადიდან).

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა დასაწყისი 16 ს. 25 წ.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებების: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-98, მრეწველობის — 3-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 09881 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.